სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 ივლისი 2005 №158 (2481) ფასი 50 თეთრი

საქართველო ბულ-გარეთ

27-ქულიანი მარცხის შემდეგ რომ იტყვი, მიზანს მივაღწიეო, ცოტა უხერხულია, მაგრამ ქართველთა ახალგაზრდული ნაკრების საქმე სწორედ ასეა. გუშინ ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ადგილები ისე განაწილდა, რომ საქართველო მასპინძელთა ნაკრებს ფინალამდე არ შეხვდება — თუ, რა თქმა უნდა, იქამდე მისვლა მოახერხა.

ქართველებმა ბულგარელების დარად ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და თუ მეოთხედფინალში ბელგიას მოუგებენ, ფინალში გასასვლელად უნგრეთსა და ფინეთს შორის საუკეთესოს დაეჯახებიან.

ქართველთა შემარცხვენელ პოლონეთს კი, ეგებ ძალიანაც არ უნდოდა და, პლეი ოფის საწყისი რაუნდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მასპინძლებთან მოუწევს ბრძოლა.

მეოთხედფინალები ხვალ გაიმართება, გუნდები კი ასე დაწყვილდნენ: უნგრეთი — ფინეთი, ბულგარეთი — სლოვაკეთი, პოლონეთი — შვედეთი და საქართველო — ბელგია.

თქვენ ბერიკაცი უძახეთ და...

15

ტორპედომ ომი თქვა

მოვიგებთ, წავაგებთ, ტვირთი მოხსნილია

ფინანსებგამოლეული, მაგრამ მაინც იმედშერჩენილი ქუთაისის „ტორპედო“ დღეს საღამოს ბელარუსის ბატეს საუეფასთასოდ შეეყრება. ოთარ გაბელიას გუნდს თავსატკივარი არ ელევა, თუმცა ვერც სტუმრები არიან ყინჩად, სადღაა ის ბატე, მაშინ რომ გვყავდაო. და რადგან ასეა, ეგებ, მოფამფალებული „ტორპედოც“ მოერიოს მოძრავ, ბრგე, მაგრამ მაინც საშუალოზე ოდნავ დაბალი კლასის ბატეს. ფეხბურთია, რა იცი...

გუშინ კი „მიხეილ მესხს“ ჯერ ბელარუსები, მერე კი ქუთათურები შეესივნენ სავარჯიშოდ.

სომხებს ფული არ აინტერესებთ

შანსებს კი ძმურად ჰყოფენ: 50/50

დავით თავართქილაძე ერევნიდან

— რა არის ინგლისი?

— „ბითლზი“ და დევიდ ბექემის მარჯვენა ფეხი.

და რა არის სომხეთი? ამ შეკითხვაზე უფრო მეტი დაფიქრება მართებს კაცს და წერილიც ინგლისით ტყუილად არ დაგვიწყია — უინსტონ ჩერჩილს სომხური კონიაკი ჯიუტად ერჩივნა ფრანგულს.

სომხებს საამაყო სხვაც ბევრი აქვთ, თუნდაც ის, რომ ერევანი დაახლოებით 2 800 წლისაა, სევანის ტბა რომ ყველაზე დიდია კავკასიაში, ეჩმიაძინის დიდებული ტაძარი და ოდინდელი დიდება — ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში მეფე ტიგრან I-ის სამეფო კასპიის ზღვიდან სირიამდე იყო გადაჭიმული.

მესამე გვერდი

გავალთ და ვიოცნებებთ

ღონე იმათია, ხერხია ჩვენი იმედი

ვ.შარაძე დელეგაციის ფოტო

გიჟირვებული და აღმართში ქვამიწეული „ტორპედო“ ბოლომდე ბრძოლას აბირებს

დალოცვილი რამაა ეს ევროტურნირები. ყოველ წელიწადს დიდის ამბით ველოდებით, აი, იქნებ ახლა გავისროლოთ, აი, იქნებ ახლა. ეს „ახლა“ კი არ დაილია, შარშან თბილისის „დინამო“ დეკემბრამდე შემორჩა ევროპას, წლეულს კი უეფას თასზე, რა დაგიმალოთ და, შარშანდლის გამეორება ცაში ფრენა გვგონია. კარგით, შევეშვათ პროგნოზებს...

დღეს, საღამოს 7 საათზე ქუთაისის „ტორპედო“ თბილისში, „მიხელ მესხზე“ ბელარუსულ ბატეს უმასპინძლებს. ბორისოვოს კლუბი დიდი გარდანქეშანი არაა, მაგრამ, ვაი რომ ფინანსურმა გაჭირვებამ „ტორპედოდან“ ლიდერები გააქცია — ვინც კი ოთარ გაბელიას გუნდს შემორჩა, ჩემოდნებზე სხედან, უეფას მოვიმწვანილებთ და სხვა კლუბს მოვნახავთო.

„დინამოს“ ორგზის გადაყრილი ბატე გუშინ შუადღით ჩამოფრინდა თბილისში, სასტუმრო „ბატესტაში“ ბარგი მიალაგ-მოალაგა, მერე კი ეგრევე ვაკის სარბიელს მიაშურა. ბორისოვოელთა თავკაცმა იგორ კრიუშენკომ 18 კაცი ჩამოიყვანა და მათ შორის არ არის გუნდის მთავარმეგოლე პაველ ბეგანსკი, რომელიც უკრაინულ „ხარკოვში“ წასულა გასასინჯად. ტრავმის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდნენ ნახევარმცველები, ანდრეი შოროხი და დმიტრი კლიმოვიჩი. ჩვენმა ბელარუსმა კოლეგებმა გვითხრეს, ეს სამი ფეხბურთელი საკმაო ძალაა და მათ გარეშე გაგვიჭირდებაო. ეგებ გაუჭრას „ტორპედოს“...

ბატეს ათამდე გულშემატკივარი ჩამოჰყვა, ძალიან მხიარული ხალხი კია — სტადიონზე შესვლისთანავე ფოტოაპარატები ააჩხაკუნეს, ზოგმა ბელარუსის დროშა შემოიხვია ტანზე, ზოგმაც კლუბის ლურჯ-ყვითელი ქუდები დაიხურა და... პენალტები დაარტყეს.

ისე, ტრიბუნების დანახვაზე კი თვალები გაუფართოვდათ და ცერა თითს მოწონებით მაღლა იშვერდნენ.

ერთსაათიანი ვარჯიშით რა უნდა შეაფასო, მაგრამ ბატეს ეტყობოდა, ფიზიკურად ჯანიანი და მოძრავი გუნდია, ტექნიკასთან კი ცოტა მწყრალადაა. არც ფეხბურთელებს და არც კრიუშენკოს დარდიმანდი სახეები არ ჰქონიათ. როგორც ჩანს, სერიოზულ თამაშს ელიან. სხვა მხრივ, ბორისოვოელებს საკმაო ინფორმაცია ჰქონიათ „ტორპედოზე“, ხშირად ახსენებდნენ დავით გამეზარდაშვილს, ძალიან კარგი ბიჭია, ტანმაღალია და თავით მშვენივრად თამაშობსო. ჰო, იქვე, მოედნის კიდეზე შუახნის კაცი კარატისტობდა, ნაირ-ნაირ ილეთებს აკეთებდა — როგორც გავიგეთ, ბატეს მასაჟისტი სერგეი აბირალო ყოფილა.

ნავარჯიშევს *იგორ კრიუშენკომ* ქართველ ჟურნალისტებს გვითხრა, შარშან თბილისის „დინამოს“ რომ შევხვდით, ისეთი გუნდი აღარ გვყავსო.

— სეზონის წინ ექვსი ფეხბურთელი წავიდა, ახლა კი სამი საკვანძო ფიგურა გამოგვაკლდა. ისე, ნიჭიერი ახალგაზრდები მყავს, ცუდი ისაა, რომ „ტორპედოზე“ თითქმის არაფერი ვიცი.

— ესე იგი, პროგნოზსაც ერიდებით.

— თამაშამდე თამაში არავის მოუგია. ხვალ ვნახავთ ყველაფერს, **ისე, განსაკუთრებულად არც შეტევებს მივეძალებით და არც დაცვას.**

— შარშან ბატე „დინამოს“ რომ შეხვდა, თქვენ მეორე მწვრთნელი იყავით, თუმც გეცოდინებათ, ეს „ტორპედო“ იმ „დინამოსავით“ ძლიერი არ არის.

— რატომ? „ტორპედო“ მეორე ადგილზე გავიდა ჩემპიონატში და ოდნავ ჩამორჩა ჩემპიონ „დინამოს“. ბატე არაა იმ დონის გუნდი, ვინმესთან თამაში გაუადვილდეს, ჩვენთვის ყველა მეტოქე სერიოზულია.

— დღეს თუ გყავთ გუნდში ისეთი ფეხბურთელი, ცნობილი ბელარუსების, კუტუზოვისა და გლების დონეზე ასვლა რომ შეეძლოთ?

— არა. ასეთი გამორჩეული არავინაა, გუნდური თამაშით გავდივართ ფონს.

— თბილისში საშინელი სიცხეებია და ეს თქვენი უპირატესობა არ იქნება.

— ბელარუსშიც არანაკლებ ცხელა, ეს პრობლემა არ არის.

— ხვალ ფრე დაგაკმაყოფილებთ?

— დიახ. ოღონდ გოლი უნდა გავიტანოთ.

ბატეს ნახევარმცველი *დმიტრი ლიხტაროვიჩი* გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ორი წლის წინ ბელარუსის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. მანაც იგივე გვითხრა, რაც კრიუშენკომ **— სამი კაცი არ გვყავს და ამიტომ ფრეზეც თანახმანი ვართ, ისე კი, შემდეგ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდეთო. „შარშანდელი „დინამო“ სხვა იყო, „ტორპედოს“ კი მხოლოდ შედეგებით ვიცნობი, არა მგონია, საქართველოს მეორე გუნდმა იოლად რამე დაგვითმოს“.**

ბატეს შემდეგ „მიხეილ მესხს“ ოთარ გაბელიას „ტორპედო“ მოადგა. თითქოს პრობლემები არ აკლდა გუნდს და ახლა დავით გამეზარდაშვილიც დაუშავდა. „ბაიანას“ გუშინ არ უვარჯიშია, კოჭი მტკივა და არ მინდა, გავირთულო, მაგრამ თავს გადავდებ და ხვალ ვითამაშებო, გვითხრა. კიდევ ერთი კოჭმტკივანი ნახევარმცველი ზვიად ჩხეტიანია, ხოლო მარჯვენა მცველ კახა ებრალიძის ბატესთან თამაში გამორიცხულია.

„ტორპედომ“ ნახევარ მოედანზე ორკარა ითამაშა. მახვილი თვალი არ სჭირდებოდა იმის დანახვას, რომ იმერლები ფიზიკურად ვერ მძლავრობენ — მოკლედ, „ტორპედომ“ ხერხით უნდა აჯობოს ბატეს ღონეს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ამ ანდაზის მართებულობისა რა გითხრათ...

ოთარ გაბელიამ ფსიქოლოგიურ მომენტს გაუსვა ხაზი, მოგებას არავინ გვთხოვს, ვიცით, რომ ფავორიტები არ ვართ და დასაკარგი არაფერი დაგვრჩენია, ბოლომდე შევაკვდებით მეტოქესო.

— ვიცი, ბატე შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ?! მაი ვარჯიშს ვუყურე, წმინდა ჩრდილოურ სტილში თამაშობენ. სულ მოძრაობაში არიან. რაც შეეხებათ გამეზარდაშვილსა და ჩხეტიანს, მათი თამაშის ალბათობა 70 პროცენტია — გვითხრა გაბელიამ.

ბოლოს ოფიციალური მხარეც არ დავივიწყოთ: მატჩს ნორვეგიელი მსაჯები გაუძღვებიან, მოიავარი არბიტრი სვეინ ოდვარ მოენი იქნება, გვერდითები კი ოდ არნე ვანგენი და ფრენკ ანდასი.

ილია ნანობაშვილი





ვ.შარაძე დელეგაციის ფოტოები

ბატეს ფიზიკური სიძლიერე კარატისტი მასაჟისტის დამსახურებაცაა

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ჰაკა (ფინეთი) 1:0 პიუნიკი (სომხეთი)

დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 ზრინსკი (ბოსნია)

გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 შელბურნი (ირლანდია)

რი ტორსჰავნი (ფარერები) 2:4 კაუნასი (ლიტვა)

ნოვა გორიცა (სლოვენია) 2:0 ტირანა (ალბანეთი)

ლივერპული (ინგლისი) 3:0 ლანსანტფრეიდი (უელსი)

ავსტრია

მაქსიმუნდესლიგა. I ტური

ადმირა 1:2 აუსტრია
მატერსბურგი 0:0 პაშინგი
რაპიდი 2:3 შტურმი
რიდი 0:0 ტიროლი

შვეიცარია

სუპერლიგა. I ტური

ცსამაძი 1:3 იანგ ბოისი

ფინეთი

მეიკაუსლიგა. გადადებული მატჩები

როვანიემი 1:1 ლაჰტი
ტამპერე 1:1 ჰიკ

იაპონია

ჯეი ლიგა. XVI ტური

სერეზო 1:0 ნიიგატა
კაშივა 3:0 ურავა
ნაგოია 3:0 კაშიმა
ოიტა 0:2 გამბა
ომია 1:0 კავაზაკი
ჰიროშიმა 0:0 ივატა
შიმიცუ 0:1 ტოკიო
ვერდი 3:3 კობე
იოკოჰამა 2:1 იჩიჰარა

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

ლუჩ-ენერგია 2:1 როსტოვი
ტერეკი 5:0 სპარტაკი (ნ)
დინამო (მახ) 1:4 მოსკვა
ალანია 2:0 ლოკომოტივი (ჩ)
სატურნი (რ) 1:1 ურალი
დინამო (ბ) 0:0 დინამო (მ)
ლოკომოტივი (მ) 2:0 მ. კუზბასი
ყუბანი 1:1 ზენიტი
კრილია 4:1 სატურნი (ი)
ვოლგარი — ტორპედო (მ) *ჩაიშალა*

თასის 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

ოკეანე 1:2 *სპარტაკი* (0:6)
ამკარი 2:0 ლადა (0:1)
ტორპედო (ვლ) 1:1 *ცსკა* (1:2)
სპარტაკი (კ) 2:0 ტომი (2:3)
ვიტიაზი 1:2 *რუბინი* (0:1)
შინიკი 4:0 მ. ლიპეცკი (0:1)

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. I ტური

ვოლინი 0:1 შახტარი
დინამო 1:1 მეტალურგი (ზ)

შავი თამაში თეთრ ღამეში

დინამო ტალინში: შეაფასე და ითამაშე

უგოლო „დინამომ“ ტალინი თბილისური გოლების იმედით დატოვა

ცუდია, რომ დრო არ არის, ზიხარ ტრიბუნაზე და მატჩის მიმდინარეობის პარალელურად წერ. შეძლებისდაგვარად აღწერ შექმნილ მომენტს და მორჩა, ფიქრისა და განსჯის დრო არ გაქვს. ასე იყო ტალინის „კადრიორგის“ სტადიონზეც — გუშინდელ „სარბიელში“ „ლევადია“ — „დინამოს“ შეხვედრის თაობაზე მხოლოდ მშრალ ფაქტებს დავჯერდით. ახლა კი ნანახი ცოტათი განვავრცოთ. ბევრს ვერც ამჯერად გეტყვით, ვინაიდან მატჩი არ იძლევა ამის საშუალებას. არც „დინამოს“, არც „ლევადიას“ თავი მაინცდამაინც არაფრით გამოუჩენიათ.

ნამატჩევს, „დინამოს“ ხელმძღვანელობით დაწყებული, პერსონალით დამთავრებული, ყველა გაკვირვებული კითხულობდა — რატომ ითამაშა გუნდმა „ლევადიასთან“ ასე უსუსურად, როცა შვეიცარიის მოსამზადებელი ეტაპის მატჩებისას „გრასჰოპერსა“ და „სენტ გალენს“ კუდით ქვა ასროლინაო. ჩვენ არ გვინახავს „დინამოს“ ეს თამაშები და უფლებაც არ გვაქვს, დინამოელთა ნათქვამი არ დავიჯეროთ, თუმც „ლევადიასთან“ მატჩმა ჩვენც და ალბათ გუნდსაც დაანახა, რომ „დინამოში“ საღღეისოდ ყველაფერი აწყობილი არ არის და თამაშში ბევრი ხარვეზი შეიმჩნევა.

შევთანხმდეთ, რომ ესტონეთის ვიზის მიღებისას შექმნილი პრობლემები, ტალინში ოღნავ დაგვიანებით გამგზავრება და იქაური თეთრი ღამეები „დინამოს“ წაგების და მით უფრო ცუდი თამაშის ასახსნელ მიზეზად არ გამოგვადგება. გავიხსენოთ, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ასეთი მაგალითიც ყოფილა: ავსტრიული უსახელო „პაშინგი“ აეროპორტიდან პირდაპირ ეროვნული სტადიონისკენ გაემართა, „ვიტ ჯორჯია“ დაამარცხა და ნახევარ საათში უკან გაფრინდა. იმის თქმა გვსურს, რომ ძლიერი თუ ხარ, გამრუდებული გზისა და თეთრი ღამეების მიუხედავად მეტოქეს მაინც მოუგებ. გუშინწინ კი გამოჩნდა, რომ „დინამო“ „ლევადიას“ არაფრით აღემატება და სადღეისოდ 0:1-ით ჩამორჩება კიდეც.

„დინამომ“ ტალინში, ვფიქრობ, ამ ორი მიზეზით წააგო: მოიკოჭლა ოსტატობაში, რაც თავისთავად საერთაშორისო სარბიელზე გამოუცდელობასა და შეუთამაშებლობას გულისხმობს და თავდაჯერებით, ფიქრით, „ლევადიას“ მიწასთან გასასწორებთო.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ „ლევადიასთან“ აქტიური თამაშის ხუთ წუთს თხუთმეტ-ოც წუთიანი ჩავარდნა მოჰყვებოდა ხოლმე. ამ ჩავარდნის დროსაც ბურთს „დინამო“ აკონტროლებდა, მაგრამ უზუსტო პასების გამო თბილისელთა წამოწყებული შეტევა მეტოქის საჯარიმოსთან იშლებოდა.

„დინამომ“ ორი თავდამსხმელით ითამაშა. ლევან მელქაძე და ერთი თვის წინ „ტორპედოდან“ დამატებული გია მეგრელაძე იყვნენ შემტევები, მაგრამ ისევ და ისევ შეუთამაშებლობის გამო მეგრელაძემ თავისი საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინა. ალბათ იმიტომ, რომ „ტორპედოში“ თავდასხმა მხოლოდ მას ეკალებოდა და ახლა, გვერდით მელქაძე რომ ნახა, სიტუაციებში ვეღარ გაერკვა. იყო ეპიზოდები, როცა ზედ კარის წინ ორივე თავდამსხმელი ერთმანეთთან დაშორების ნაცვლად გვერდი-გვერდ იდგა.

ეტყობა, ასევე „ტორპედოდან“ გადაბირებული გია ნერგაძე „დინამოს“ შუა ხაზში დიდი ძალა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მოსამზადებელი ეტაპისას. შოთა ბაბუნაშვილსა და ლაშა ნოზაძეს კი „ლევადიასთან“ ვერაფრით გაერკვიათ, ვინ უფრო ჩამშლელი იყო, ვინ შემტევი. პასიურობდნენ ფლანგებზეც: დავით ოდიკაძეს, ესტონელებთან საპასპორტო პრობლემების მიუხედავად, ვფიქრობ, სისწრაფის ხარჯზე მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო; ხოლო გიორგი ნავალოვსკი მეორე ტაიმში თითქოს გაქრა მოედნიდანო. სხვათა შორის, ნავალოვსკის პასიურობას უფრო კაზიმირის აქტიურობას მივაწერდით, რომელიც შესვენების შემდეგ შეცვლაზე შევიდა.

და კიდევ, დაცვა, რომელმაც მოსამზადებელი ეტაპისას სხვა სახე მიიღო. ფლანგებზე კახა ალადაშვილი და ილია კანდელაკი იყვნენ, შუაში „ლოკომოტივიდან“ „დინამოში“ დაბრუნებული დავით გიგაური და მოულოდნელად კაპიტნის სამკლავურშებმული სერგო ორბელაძე. დაცვას [illegible] ჰქონდა, მეტოქე [illegible] ყოფილიყო, „დინამო“ კიდევ ორსამჯერაც უნდა დასჯილიყო. თბილისელებისა არ იყოს, საბოლოო პასი და დარტყმა არც ესტონელებს უვარგოდათ, თორემ ფაქტობრივად უშეცდომოდ მოთამაშე ზეიად სტურუას ერთ-ორს ალბათ კიდევ გაუტანდნენ. მატჩის ბოლოსკენ იყო ერთი საინტერესო მომენტი: „დინამოს“ მორიგი შეტევის შემდეგ „ლევადიამ“ კიდევ ერთი სახიფათო კონტრშეტევა წამოიწყო. საკუთარ ნახევარზე კი მეტოქეი მხოლოდ კანდელაკი დახვდა. კიდევ კარგი, თბილისელმა იმარჯვა და ორ სწრაფ თავდამსხმელს ბურთზე დაასწრო, თორემ მეორე გოლი ალბათ გარდაუვალი იქნებოდა. ასეთი კითხვა მაქვს: როცა წინ საპასუხო მატჩია, მეტოქეს უკანმოუხედავად რატომ უტევთ? კანდელაკს რომ ვერ ეყოფა, 0:2-ის გაბათილება ხომ ურთულესი საქმე იქნებოდა. მცველები ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს ამ ყვნენ და ანგარიშის გასათანაბრებლად გასწიეს, საკუთარი კარი კი დაიცვეს, არადა, ერთხელაც ვთქვათ, წინ საპასუხო მატჩია.

„დინამოს“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენციაზე თქვა, საპასუხო მატჩამდე დარჩენილ ერთ კვირაში იმ შეცდომების გამოსწორებას ვეცდებით, რომლებიც დღეს „ლევადიასთან“ დავუშვიო. „ლევადია“ კი ის გუნდი არ არის, „დინამომ“ თბილისურ 90 წუთში ოთხ უპასუხო გოლი ვერ გაუტანია.

ოღონდ, ტალინურ შეცდომების გამოსწორება უცილობლად უნდა, ფეხბურთელებმა კი უნდა დაიხსომონ — ყველა მეტოქეს დაფასება სჭირდება. მოუნდომებლად საქმე არ კეთდება. ახლა თქვენი საქმე, „ლევადიასთვის“ ორი უპასუხო გოლის გატანაა და... მოინდომეთ!

კობა ინასარიძე

ტალინი — თბილისი

სომხებს ფული არ აინტერესებთ

შანსებს კი ძმურად ჰყოფენ: 50/50

დავით თავართქილაძე ერევნიდან

...მეოცე საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ერევანი ფაქტობრივად დაანგრია და ქალაქის ხელახლა აღდგენისას ის მომხიბვლელი ვულკანური ტუფით გაალამაზეს.

გარეუბნებზე ვერაფერს მოგახსენებთ და, თანამედროვე ერევნის ცენტრში ყველაფერი რიგიანადაა. საღამოს აქ ხალხი ოჯახებით გამოდის და ერთობა. ერევნელებს არ უყვართ ჩაკეტილობა, კაფე-რესტორნებში ქეიფისას არ იყუჩებიან, თითქოს სურთ, რომ ყველამ დაინახოს მათი დროსტარება.

რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის მეხოტბე ჯერ ვერავინ ჭნახე. ფასები და კომუნალური გადასახადები გაიზარდა, სამუშაო ადგილები ჭირს — ჩვიან ერევნელები.

ერევანში არ არის ჩვენებური საირმის გორის მაგვარი უბანი, თუმც ახალი სომხების სასახლეები ცოტა როდია. მათი ძვირიანი სამფლობელოები ძალიან უცნაურადაა გალამაზებული ძვირფასი საშენი მასალით. სომხეთის დედაქალაქში არაა საპატრულო პოლიცია, ავტოინსპექტორები ძველებური ფორმითა და ხელჯოხით ძველებურად მუშაობენ, პოლიციაზე კი მითხრეს, ქუჩაში არავის აჩერებენ საბუთების შემოწმებისა თუ ჩხრეკისთვისო — კრიმინალური და აგრესიული ფონი ერევანში მართლაც არ შეიმჩნევა.

„ბანანცი“ — „ლოკომოტივი“ ერევნის დროით 19 საათზე, თბილისის დროით კი 18 საათზე დაიწყება. „ლოკომოტივის“ ავტობუსს საქართველო-სომხეთის საზღვარზე პოლიციის მანქანა დახვდა და ერევანში, სასტუმრო „ანიმდე“ მიაცილა.

სომხეთის ჩემპიონატი „რუსულ“ კალენდარზეა აწყობილი და 15 ტურის შემდეგ „ბანანცი“ მესამე ადგილზეა. სომხეთის ჩემპიონატში ცხრა გუნდი თამაშობდა, მაგრამ უფულობის გამო ერთი გათამაშებას გამოეთიშა.

„ბანანცმაც“ და „ლოკომოტივმაც“ გუშინ რესპუბლიკურ სტადიონზე ივარჯიშეს, სადაც დღეს გაიმართება მატჩი. ამ არენაზე თამაშობს სომხეთის ეროვნული ნაკრებიც. რესპუბლიკური სტადიონი 15 ათას კაცს იტევს და ვარაუდობენ, რომ „ბანანცი“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრას მესამედი, 5 ათასი მაყურებელი დაესწრება.

„ბანანცმა“ სალამოს შვიდ საათზე ივარჯიშა. ერევნელთა ორი ქართველი, მეკარე მანუჩარ ივარდავა და ნახევარმცველი გიორგი ფურცელაძე ჯიგრიანად ირჯებოდნენ, განსაკუთრებით ივარდავას ეტყობოდა დამუხტულობა. ვარჯიშის შემდეგ მათთან გასაუბრებას ვაპირებდი, მაგრამ „ბანანცის“ მთავარმა მწვრთნელმა სამველ სარქისიანმა ბრძანა, ინტერვიუ მხოლოდ მატჩის შემდეგო.

სომხეთში ყოველდღიური სპორტული გაზეთი არ გამოდის. ერევანში სამი საფეხბურთო გაზეთია და სამივე ყოველკვირეული. დღევანდელ „ფუტბოლ პლუსში“ ორი გვერდი დაეთმო „ბანანცი“ — „ლოკომოტივის“ მატჩს და ლაიტმოტივი ასეთია — შანსები თანაბარია.

სომხეთის ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ბილეთები არ იყიდება და თქვენ წარმოიდგინეთ, დღევანდელ „ბანანცი“ — „ლოკომოტივის“ თამაშზე დასწრებაც უფასოა — სომხეთში ბილეთი მხოლოდ ეროვნული ნაკრების მატჩებზე იყიდება.

დღევანდელ მატჩს კერძო ტელეკომპანია „არმენია TV“ გადასცემს.

ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად სომხეთში ედგარ მანუჩარიანი ითვლება — ის 18 წლისაა და შარშან „პიუნიკიდან“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა. იქ მანუჩარიანი შეცვლებზე თამაშობს.

წარსულში ალბათ ყველაზე პოპულარული სომეხი ფეხბურთელი ხორენ ოგანესიანი ახლა „პიუნიკის“ პრეზიდენტია, მისი ვაჟი ჟორა კი ბერძნული „ოლიმპიაკისის“ ფეხბურთელია.

„ლოკომოტივი“ რესპუბლიკურზე სავარჯიშოდ „ბანანცის“ შემდეგ რვა საათზე გავიდა. ჩვენებურების წვრთნას ყურადღებით აკვირდებოდნენ ერევნელთა მთავარი მწვრთნელი და მისი ფეხბურთელები.

სად იყო და სად არა, ლოკომოტიველთა შუა ვარჯიშზე ალექსანდრე ჩივაძე გამოჩნდა. ცხადია, საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ყველამ იცნო. ჩივაძე სომეხ მეგობრებს გადაეხვია და „ლოკომოტივს“ შეუძახა.

ვარჯიშის ბოლოს ლოკომოტიველთა ფორვარდი ირაკლი სირბილაძე დაშავდა — თანაგუნდელთან შეჯახებისას მუხლი ისე იტკინა, რომ ვარჯიში მიატოვა — მისი დღეს თამაში საეჭვოა.

ერთიც, სომხურ სპორტს ცნობილი იქაური ოლიგარქები განაგებენ — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ვაგიკ წარუკიანია, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აირაპეტიანი.

დღეს ერევანში ცხელოდა და თამაშის დღესაც ხვატს ელიან.

ფრანგული „ლანსი“ „ტორპედოს“ საევროთასო ისტორიაში ბოლო და ყველაზე სახელიანი მეტოქე იყო

მოდი, რა!

არ არის ამ სიტყვების ავტორი რეალისტი ადამიანი, თორემ ასე არ იტყოდა: მეოცე საუკუნეში საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა რომ ყოფილიყო — ცარისტული რუსეთის დამხობის შემდგომ 82 წელიწადზეა ლაპარაკი — ქუთაისის „ტორპედოს“ გასწვრივ გრაფაში პირველი ოფიციალური ევრომატჩის თარიღად 1997 წელი არ ეწერებოდა. ქუთაისური ფესვების გამო კი არა, სრული გულწრფელობით მოგახსენებთ, რომ „ტორპედოს“, როგორც არცთუ უნიჭო საფეხბურთო ქვეყნის მეორე დიდ გუნდს, სრულყოფილი, სისხლსავსე საკლუბო ცხოვრება თვით ევროთასების დაარსებასთან ერთად უნდა დაეწყო და, ასე რომ არ მოხდა, შეგვიძლია ისტორიულ უსამართლობად მივიჩნიოთ. ჰოდა, მივიჩნიოთ კიდეც, მაგრამ, ვაგლახ, ეს დღევანდელი პრობლემებისგან ვერ გაგვათავისუფლებს, ხოლო დღევანდელი პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ დროა, სცენაზე „ტორპედოს“ ქომაგი ჰამლეტი შემოდიოდეს ყოფნა-არყოფნის მონოლოგით.

და მაინც, მოდი, ამ მსუბუქ და სეზონისწინა სალმად ჩაფიქრებულ წერილს გულის დამამძიმებელ განსჯად ნუ გადავაქცევთ. ვიცით, როგორ არა, რომ ასე არ შეიძლება. ხალხს, ერს, საზოგადოებას და მის იმ ნაწილს, მთელ სახელმწიფოზე, სპორტსა თუ ერთ კერძო ფეხბურთის კლუბზე პასუხს რომ აგებს, საქმე აქამდე არ უნდა მიჰყავდეს, მაგრამ ფაქტია, ეს მოხდა და...

და სწორედ დღეს, ქუთაისური კლუბისთვის რთულ პერიოდში, როდესაც ფინანსურმა ანუ ყოფნა-არყოფნის პრობლემებმა მაინცდამაინც უეფას თასის თამაშის წინ წამოჰყო თავი, რის გამოც „ტორპედოდან“ ბევრი ფეხბურთელი წავიდა და სხვა სამომავლო საკითხებიც ბურუსითაა მოცული, გვინდა, უბრალოდ და ალალად ბიჭებს შევუძახოთ: მიდით, ერთი ისტორიული უსამართლობების და... რაც გინდათ, იმის ჯინაზე, ყოველგვარი ფილოსოფიის გარეშე ნაღდი ქუთაისური ფეხბურთი შეუბერეთ. და ნუ დაივიწყებთ, ფეხბურთი მოგებაზეა!

„ლოკომოტივს“ კი ერთი სიტყვა ერევანში დავაწიოთ: არა გვგონია, „ბანანცი“ განსაკუთრებული დონით გამოირჩეოდეს, ამიტომ რამეს კი არ გავალებთ, ისე, უბრალოდ გთავაზობთ, მოდი, ვიბრძოლოთ და მოვიგოთ.

პასუხად, იმედია, ასე შემოგვითვლით: მოდი, რა!

ბაბუნა კედია

ლოკომოტივი ევროთასებზე

99/2000	უეფა	I საკვალიფიკაციო	ლოკომოტივი — ლინფილდი (ჩრდ. ირლ)	1:0, 1:1
		1/64 ფინალი	ლოკომოტივი — ბაოკ (საბერძნეთი)	0:7, 0:2
2000/01	უეფა	I საკვალიფიკაციო	სლოვანი (სლოვაკეთი) — ლოკომოტივი	2:0, 2:0
2001/02	უეფა	I საკვალიფიკაციო	ბირკირკარა (მალტა) — ლოკომოტივი	0:0, 1:1
2002/03	უეფა	I საკვალიფიკაციო	კოპენჰაგენი (დანია) — ლოკომოტივი	3:1, 4:1

სულ ---------- მოიგო 1, ფრე 3, წააგო 6, ბურთები 4:23

უეფას თასის გარდა არც ერთ ევროტურნირზე არ უთამაშია

ტორპედო ევროთასებზე

1997/98	ინტერტოტო	I ეტაპი	ტორპედო — ერებუნი (სომხეთი)	6:0, 1:1
		II ეტაპი	ლომელი (ბელგია) — ტორპედო	0:1, 2:1
1999/2000	უეფა	I საკვალიფიკაციო	ლანტანა (ესტონეთი) — ტორპედო	0:5, 2:4
		II საკვალიფიკაციო	ტორპედო — აეკ (საბერძნეთი)	0:1, 1:6
2000/01	ჩ. ლიგა	II საკვალიფიკაციო	ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ტორპედო	4:0, 0:2
2001/02	ჩ. ლიგა	I საკვალიფიკაციო	ლინფილდი (ჩრდ. ირლ) — ტორპედო	0:0, 0:1
		II საკვალიფიკაციო	ტორპედო — კოპენჰაგენი (დანია)	1:1, 1:3
2002/03	ჩ. ლიგა	I საკვალიფიკაციო	ტორპედო — ტორსპავნი (ფარერები)	5:2, 1:0
		II საკვალიფიკაციო	სპარტა (ჩეხეთი) — ტორპედო	3:0, 2:1
2003/04	უეფა	I საკვალიფიკაციო	ლანსი (საფრანგეთი) — ტორპედო	3:0, 2:0

სულ ---------- მოიგო 8, ფრე 3, წააგო 9, ბურთები 31:32

უეფას თასზე ---------- მოიგო 2, ფრე 0, წააგო 4, ბურთები 10:14

ხოჯავას რუბინამდე საათები აშორებს

მამუკა ჯუღელის რიგში სხვებიც დგანან

ბორის კირილოვის ფოტო

გოჩა ხოჯავას ყაზანის „რუბინში“ გადასვლა ორი-სამი დღის ამბავიაო, გვითხრა მისმა მენეჯერმა მამუკა ჯუღელმა, რომელიც ამჟამად თბილისშია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი ორიოდე კვირაა, „რუბინში“ ვარჯიშობს და გუნდის მწვრთნელ ყურბან ბერდიევს თავს აწონებს. როგორც იცით, ამ კლუბში ლაშა სალუქვაძე თამაშობს და საკმაოდ ღონიერადაც. ყაზანელები რუსულ პრემიერლიგაში მესამე ადგილზე არიან.

„ახლა დროებით ვარ თბილისში, დღეს-ხვალ ყაზანში გადავფრინდები და ხოჯავას ამბავიც საბოლოოდ გაირკვევა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ რუსული კლუბი მასთან კონტრაქტს გააფორმებს. გუნდისგან დადებითი პასუხი უკვე მოვიდა, ახლა პირობებზეა ლაპარაკი“ — გვითხრა მამუკა ჯუღელმა, რომელიც გიორგი მიქაძის რომელიმე კლუბში მოწყობაზეც დაიწყებს მუშაობას. შეგახსენებთ, მიქაძეს თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და უგუნდოდაა.

ჯუღელმა ისიც თქვა, ილია კანდელაკის ამბავსაც გავარკვევ. მას „დინამოსთან“ ახლა უმთავრდება ხელშეკრულებაო.

ილია ნანოგაჩვილი

არ გავვარდეთ...

ოთარ კორღალიძე: სულ ეს ვართ, ვინც ვართ

ალან ფასიშვილის ფოტო

თელავის „კახეთი“ უმაღლეს ლიგაში მოდის და მოანგრევს ყველაფერსო, ვერ ვიტყვით, მაგრამ შედარებაზე თუ მიდგა, კახელებს გორის „დილასა“ და ფოთის „კოლხეთივით“ არ უჭირთ. ასეთი გუნდების ფონზე ოთარ კორღალიძის ბიჭებს ზედა ეშელონში ადგილის შენარჩუნება ეგებ არც გაუჭირდეთ.

„კახეთი“ ამჟამად გრიგოლეთში ვარჯიშობს და ტესტ-მატჩებს ეშურება. გუშინწინ ისინი „ბათუმს“ გაეჯიბრნენ და 2:0 მოუგეს, ერთი გოლი ნიკა დავითაშვილმა გაიტანა, მეორე კი ზღვისპირელებმა საკუთარ კარში შეაგდეს. გუშინ კი თელაველებმა ბოლნისის „სიონსაც“ მოუგეს — 2:1.

„ნორმალურად ვემზადებით, 24 ივლისამდე გრიგოლეთში ვიქნებით. გუნდში ახალი არავინაა, ერთადერთი, ცენტრალური მცველი ზვიად ლაბაძე შევიმატეთ „რუსთავიდან“. „კახეთის“ 90 პროცენტს თელაველები შეადგენენ, 3-4 კაცია მოწვეული და ამას დავჯერდებით. ჩემპიონატი კარზეა მომდგარი, ახლა რაღა დროს ფეხბურთელების შეძენაა. ბრაზილიელი მოთამაშის ჩამოსვლაზე ორი-სამი კვირის წინ იყო ლაპარაკი, მაგრამ ეს კარიანტი ჩაიშალა“ — გვითხრა ოთარ კორღალიძემ.

შეგახსენებთ, თელაველებს „დინამო 2“-დან სურდათ რამდენიმე ფეხბურთელის გადაყვანა, მაგრამ მხოლოდ გიორგი კვიტაიშვილი ერგოთ. „კახეთს“ თელავის გამგეობა უპატრონებს და, როგორც ამბობენ, კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილიც არ აპირებს გულგრილად ყოფნას.

კორღალიძეს გუნდის საამსეზონო მიზნებზეც ვკითხეთ და მოსალოდნელი პასუხიც მივიღეთ — მთავარია, არ გავვარდეთ, მაღალ ადგილებზე გასვლა ჩვენოვის არავის დაუვალებიაო.

ილია ნანოგაჩვილი

პრის ვიეირა?

კონტრაქტი შესაძლოა, დღესვე გაფორმდეს

ბოლო დღეებია, საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამბავი პატრიკ ვიეირას „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლაა. გავრცელებული ცნობით, ტურინელთა წარმომადგენლები უკვე ჩაფრინდნენ ლონდონში და „არსენალს“ ახალი წინადადება შესთავაზეს. დიდი შანსია, ყველაფერი დღეს გადაწყდეს და ტრანსფერიც ოფიციალურად გაფორმდეს

როგორც ამბობენ, პატრიკ ვიეირას „იუვენტუსში“ გადასვლას არაფერი უკლია

როგორც ამბობენ, ვიეირამ უკვე შეათანხმა ტურინელებთან პირადი კონტრაქტის დეტალები. იგი სეზონში 2 მილიონ გირვანქას მიიღებს ხელფასის სახით და „დელე ალპიზე“ 2009 წლამდე დარჩება. ახლა საერთო ენა „არსენალმა“ და „იუვენტუსმა“ უნდა გამონახონ. ჭორების თანახმად, „ბებერი ქალბატონი“ 10,5 მილიონ გირვანქას იხდის, ხოლო „მეთოფეები“ ცოტა მეტს ითხოვენ.

„თუ „არსენალი“ ვიეირას გაყიდვას გადაწყვეტს, ჩვენ მას მყისვე შევიძენთ“ — აღნიშნა „იუვეს“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ.

ტურინელთა გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის კომენტარი კი ამჯერად ასეთია: „ამ თემაზე მხოლოდ მას მერე ვისაუბრებ, რაც ყველაფერი გადაწყდება. პატრიკ ვიეირას გარდა, სხვა ფეხბურთელებიც გვაინტერესებს. ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის ფხიზლად ვართ და მისაღებ შეთანხმებებს ხელიდან არ ვუშვებთ, მაგრამ თუ „არსენალი“ ძალიან ბევრს მოითხოვს, არაფერი არ მოხდება“.

მადრიდის „რეალმა“ კი შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, მოგეხსენებათ, ესპანელები „მეთოფეთა“ კაპიტნით ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი და როგორც ჩანს, ხელი ჯერაც არ ჩაუქნევიათ. მეტიც, „სამეფო კლუბის“ ლიდერი ზინედინ ზიდანი თავის მეგობარსა და თანამემამულეს „სანტიაგო ბერნაბეუსკენ“ ექაჩება.

„არსენალში“ გატარებული 9 წლის შემდეგ, მისთვისაც და ჩვენთვისაც კარგი იქნება, თუ იგი შემოგვიერთდება. ვინც თვლის, რომ პატრიკის ადგილი „რეალში“ არ არის, ძალიან ცდება. არც ასაკია პრობლემა. 27-31 წლები ფეხბურთელის კარიერაში საუკეთესო პერიოდია. როდესაც მე მადრიდში ჩამოვედი, ვიეირაზე უფროსი ვიყავი და ბევრს ლაპარაკობდნენ, ტრანსფერი არ გაამართლებსო. თუმც პირველივე სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ და ეს საოცარი გრძნობა იყო. ვიცი, ლიგის მოგება პატრიკსაც სურს და „რეალი“ ამისთვის საუკეთესო ვარიანტია“ — განაცხადა 33 წლის ზიდანმა.

გიორგი კაკაბაძე

„ინტერმა“ ჩილელი დავიდ პიზარო უკვე გადაიბირა, ახლა კი ჯერი პორტუგალიელ ლუიშ ფიგუზეა

პიზაროს ოცნება აუხდა

ფიგუს ინტერიც უნდა

მილანის „ინტერი“ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „შავ-ლურჯები“ უდინელი დავიდ პიზაროთი გაძლიერდებიან და ლუიშ ფიგუსთან კონტრაქტის გაფორმრების შანსებიც ერთიორად გაიზარდა.

„მე გავიმარჯვე „ბარსელონაში“, გავიმარჯვე „რეალში“ და მინდა, გავიმარჯვო „ინტერში“ — უთქვამს ფიგუს „ნეროაძურის“ პატრონ მასიმო მარატისთვის თუ იტალიურ პრესას ვენდობით.

„ფიგუ მართლაც გვაინტერესებს, იგი ჩინებული ფეხბურთელია, თუმც ყველაფერი დანარჩენ ტრანსფერებზე და ფინანსებზეა დამოკიდებული. ხოლო დავიდ პიზარო უკვე შევიძინეთ. მან სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა“ — ეს კი თავად მორატის სიტყვებია.

როგორც იცით, ჩილელ ნახევარმცველს კატეგორიულად ჰქონდა გადაწყვეტილი „უდინეზეს“ დატოვება და განსაკუთრებით „ინტერში“ სურდა გადაბარგება.

„დავიდს ერთი სული აქვს, როდის გაფორმდება საბოლოოდ კონტრაქტი. გვინდა, მაძლობა გადავუხადოთ „უდინეზესაც“ და „ინტერსაც“ — თქვა პიზაროს აგენტმა ფერნანდო იდალგომ.

გარდა ამისა, მილანელები დაცვის გაძლიერებაზე ფიქრს განაგრძობენ და ვალტერ სამუელის ტრანსფერზე გაჯანჯღლებული მილანარაკების გამო ალტერნატიულ ვარიანტს ეძებენ. „ინტერში“ გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი „ბაკ ეინდჰოვენის“ ბრაზილიელი მცველი ალექსია, რომელიც „ჩელსის“ საკუთრებაა. ლონდონელებს მასში საკმაოდ დიდი თანხა მოუთხოვიათ და ახლა თუ 23 წლის ფეხბურთელი „სან სიროს“ გადაბარგდება, ალბათ მხოლოდ არენდის წესით.

„ნეროაძურის“ თურქი ნახევარმცველი ემრე კი უკვე ნიუკასლშია და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმება უახლოეს დღეებში იგეგმება.

ემრე ბელოზოღლუ: „ძალიან გახარებული ვარ. „ნიუკასლი“ ჩინებული კლუბია, ხოლო გრემ სუნესი ბრწყინვალე მწვრთნელი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს“.

თავად სუნესსაც მოუსმინეთ: „უმნიშვნელო დეტალებზე დაგვრჩა მოსაგვარებელი, რაც არ გაკვირვებდეს. ემრე ძალიან კარგი ფეხბურთელია და ვფიქრობ, ინგლისს მშვენივრად მოერგება. თანაც ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და უკვე ახალი გამოცდილია“.

გიორგი კაკაბაძე

ორშაბათს ბოლო სერიაა

პარმამ ბერეტა ამოიღო

ალბერტო ჯილარდინო მარიო ბერეტას დარიგებებს „პარმაში“ სავარაუდოდ, ვერ მოისმენს

ალბერტო ჯილარდინო „მილანში“ ჯერ ისევ არ გადასულა. მხარეებს შორის თითქმის მიღწეული შეთანხმება უკანასკნელ მომენტში ჩაშალა. თუმც თუ „როსონერის“ ხელმძღვანელობას ვენდობით, მექსიკურ ტელესერიალს დამსგავსებულ მოსაბეზრებელ მოლაპარაკებებს დიდხანს გაგრძელება არ უწერია. მომავალ ორშაბათს ბოლო სერია გელისო — უთქვამს „შავ-წითელთა“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის, რომელიც „პარმას“ ხელმძღვანელობას შეხვდება და შესაძლო ტრანსფერის ბედიც საბოლოოდ გადაწყდება.

„ორშაბათს მოლაპარაკებების ბოლო დღეა. თუ „პარმასგან“ ისევ უარს მივიღებთ, ჯილარდინოს შეძენას აღარ ვეცდებით და ყურადღებას სხვა ფეხბურთელებზე გადავიტანთ. თუმც განწყობა ოპტიმისტურია. ჩვენ 24 მილიონ ევროს ვიხდით და თავად ალბერტოც სერიოზულ ფინანსურ დათმობებზე წავიდა, რათა „მილანში“ გადმოვიდეს“ — განმარტა გალიანიმ.

ამასობაში, „პარმამ“ ახალი მწვრთნელის ვინაობა გაამხილა — მომავალ სეზონში გუნდს მარიო ბერეტა უთავკაცებს. 45 წლის სპეციალისტის პროგრამა-მინიმუმი, გუნდისთვის სერია **A**-ში ადგილის უპრობლემოდ შენარჩუნებაა. შეგახსენებთ, იგი აქამდე „კიევოს“ ედგა სათავეში.

„ენრიო ტარდინის“ ბინადართა ყოფილი დამრიგებელი პიეტრო კარმინანი კი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელების გაწვრთნას შეუდგება.

ახალი კიდევ ისაა, რომ პარმელთა ვეტერანმა მეკარემ ლუკა ბუჩიმ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 36 წლის გამოცდილი ფეხბურთელი სებასტიან ფრეის წასვლის შემდეგ სავარაუდოდ, გუნდის პირველი მეკარე იქნება.

ვთქვათ ისიც, რომ გასულ სეზონში „პარმას“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოოამაშემ, ახალგაზრდა ფრანჩესკო რუოპოლომ გუნდი დატოვა. რუოპოლო მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა.

გიორგი კაკაბაძე

რობინიო წილს უარობს

ფული კი არა, რეალი მინდა

ბრაზილიელი რობინიო ისე გამწარდა, რომ მზადაა, საკუთარი ტრანსფერიდან კუთვნილ წილზე, 7 მილიონ ევროზე უარი თქვას, ოღონდ კი მადრიდის „რეალში“ გადავიდეს.

21 წლის ფორვარდი თითქმის სამი კვირაა „სანტოსთან“ ვარჯიშს უარობს, რადგან მადრიდის „რეალში“ სურს გადასვლა.

კლუბების პრეზიდენტები, მარსელო ტეიშეირა და ფლორენტინო პერესი, გასულ უქმეებზე ერთმანეთს მაიამიზე შეხვდნენ და თითქოს შეთანხმდნენ კიდეც „რეალში“ რობინიოს გადასვლაზე, მაგრამ საქმე ისევ „გაიყინა“.

„მე ჩემს წილზე უარს ვამბობ — თქვა რობინიომ — ჯერ ახალგაზრდა ვარ და მთელი ცხოვრება წინ მაქვს“.

ფეხბურთელის აგენტმა ვაგნერ რიბეიროომ კი განაცხადა: „რობინიოს



რობინიო

ძალიან სურს „რეალში“ გადასვლა და ყველანაირ დათმობაზე მიდის. რაც შეეხება „რეალს“, მათ ოფიციალურად ბიღოს 3 ივლისს მოგვმართეს, მაგრამ რობინიოს ფასი კვლავაც უცვლელია — 27 მილიონი დოლარი“.

ვაჟა ხუციშვილი



„მილანს“ ჯუზეპე პანკაროო გაეყარა

ფიორეც და პანკაროც ფიორეს

სტეფანო ფიორე უკვე ფლორენციაშია. მისი „ფიორენტინაში“ გადასვლის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, მაგრამ შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. როგორც ჩანს, ნახევარმცველი „იებმა“ ერთი წლით ინათხოვრეს „ვალენსიისგან“ საბოლოოდ გამოსყიდვის პერსპექტივით.

„აქ საუკეთესო სურვილებითა და მიზნებით ჩამოვედი. „ვალენსიაში“ დაკარგული ერთი წელი უნდა დავიკვიწყო. „ფიორენტინას“ ამბიციები ვიცი და ძალიან კმაყოფილი ვარ, ხოლო, რომელ პოზიციაზე ვითამაშებ, კონკრეტულად მერე გადაწყდება, ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია“ — თქვა ფიორემ.

გუშინ კი ჩეზარე პრანდელის გუნდი კიდევ ერთი ცნობილი იტალიელი ფეხბურთელით, ჯუზეპე პანკაროთი გაძლიერდა. როგორც მოსალოდნელი იყო, 34 წლის ვეტერანმა „მილანი“ დატოვა. მან „რომსონერისთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და „იებში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. პანკარომ უკვე სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ვერა და ვერ ხერხდება ლუკა ტონის შეძენა. მოგეხსენებათ, ფლორენციელებს პირველ რიგში თავდასხმის გაძლიერება სურთ და მათი მთავარი სამიზნე სწორედ ტონია, მაგრამ „პალერმოსთან“ მოლაპარაკება ჩაიშალა.

„მოლაპარაკებები შეწყდა და მის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. ტონი „პალერმოს“ ფეხბურთელია. „ფიორენტინა“ ცუდად მოიქცა. ამ ყველაფერმა უკვე დაგვლალა. თუ მათ მართლაც სურთ ლუკას შეძენა, იცან, რაც უნდა გააკეთონ და საკუთარი პირობები არ უნდა წამოგვიყენონ“ — აღნიშნა სიცილიელთა სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

გიორგი კაკაბაძე

სელტიკს არტური დაიცავს

შუნსუკე ნაკამურა

შოტლანდიური „სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი მეკარეს აღარ ეძებს. გლაზგოელებმა ვარშავის „ლეგიასა“ და პოლონეთის ნაკრების 24 წლის მეკარე არტურ ბორუკი იქირავეს, მომავალ ზაფხულს კი ეგებ ბოლომდე გამოისყიდონ.

შეგახსენებთ, რომ „სელტიკი“ „საუთჰემპტონის“ ფინელ მეკარე ანტი ნიემისთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ სკანდინავიელმა დიდი ხელფასი მოითხოვა, რასაც გლაზგოელები რთული ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ დათანხმდნენ.

გორდონ სტრაჩანი: „არტური პოლონეთის ნაკრების მეორე მეკარეა. იგი გასულ სეზონში შევნიშნე და შეთანხმებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნიემისთან ვერ მოვილაპარაკეთ, მაგრამ ბორუკის არანაკლებ გვეიმედება“.

საკარაუდოდ, მალე „სელტიკი“ იაპონელ ვარსკვლავ შუნსუკე ნაკამურათიც გაძლიერდება. გლაზგოელები მასში 2 მილიონ გირვანქას იხდიან, ხოლო „რეჯინა“ 2,75 მილიონს ითხოვს. თუმცა იტალიელები ირწმუნებიან, რომ საცაა, მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ.

„ჩვენი პრეზიდენტი ლილო ფოტი „სელტიკის“ თავმჯდომარე პიტერ ლოუელს ესაუბრა და ყველაფერი კარგად მიდის, თუმცა ნაკამურათი ესპანური „ატლეტიკო“ და „დეპორტივოც“ არიან დაინტერესებულნი“ — განაცხადა „რეჯინას“ პრესატაშემ დანიელ რინდონემ.

გიორგი კაკაბაძე

ბაპტისტა სევილიაში ჩაისლარტა

ჟულიო ბაპტისტა ჯერაც „სევილიას“ ფეხბურთელია

„სევილიას“ პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო, ჟულიო ბაპტისტას აგენტმა გააბრაზა და კლუბი შესაძლოა, ფეხბურთელის გაყიდვას დათანხმდეს.

ორი კვირის წინ ლონდონის „არსენალის“ შეფი დევიდ დინი ესპანეთში ჩავიდა და ბრაზილიელი ფორვარდის ტრანსფერზე ივაჭრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბაპტისტამ პრიმერადივიზიონში დარჩენა ისურვა და თითქოს წასვლას არ აპირებდა, მაგრამ მისი აგენტი ეტყობა, სხვანაირად ფიქრობს.

ფიფას ახალი წესების მიხედვით, 23 წლის ფეხბურთელს, რომელმაც სამი წელი ერთ გუნდში გაატარა, შეუძლია, ისე დატოვოს კლუბი, რომ მის სანაცვლოდ მიზერული თანხა გადაიხადონ. ამ თანხის ოდენობა კი საგანგებო კომიტეტმა უნდა განსაზღვროს.

მოკლედ, „სევილიამ“ მომავალ წელს შესაძლოა, ფული დაკარგოს, ჟულიო ბაპტისტა კი მუქთად წავიდეს. ეს ამბავი ფეხბურთელის აგენტმა კლუბის დირექტორატის წევრებს აცნობა, რომლებმაც „სევილიას“ პრეზიდენტს ბრაზილიელის სარფიანად გაყიდვა ურჩიეს მანამდე, სანამ უფასოდ წავა გუნდიდან. სწორედ ამან გააცეცხლა ხოსე მარია დელ ნიდო.

„ჟულიო ბაპტისტას გაყიდვა ჩვენ არ გვსურს. ამ ტრანსფერის გაჩარხვა თვითონ ფეხბურთელმა და მისმა აგენტმა მოინდომეს. ახლა ყველაფერი ნათელია და ბრაზილიელი თუ წავა, შევეცდებით, მისი მსგავსი მეგოლე შევიძინოთ. ოცი წელია, კლუბში ვმუშაობ და ჯერ არ მინახავს ფეხბურთელი, რომ წასვლა სდომებოდა და ვინმეს დაეკავებინა. ბაპტისტა ჯერჯერობით აქ არის. სეზონისწინა შეკრება „სევილიასთან“ დაიწყო და „არსენალიდანაც“ აღარავის მოუკითხავს. ვიმედოვნებ, ბრაზილიელი კვლავ ჩვენთან დარჩება, იმიტომ, რომ მისი კარიერისთვის ასე უკეთესი იქნება“.

ვაჟა ხუციშვილი

მოანერე, რიო, მოანერე!

გლეიზერი ფერდინანდმა შეაშინა



რიო ფერდინანდი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი რიო ფერდინანდმა შეაშინა — ინგლისის ნაკრების მცველს კვირაში 100 ათასი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ ფერდინანდი ოცით მეტს ითხოვს. „იუნაიტედის“ პატრონი მალკოლმ გლეიზერი უარზეა, რადგან 120 ათასი არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს, თვით პატივცემულ კაპიტან როი კინსა და ვარსკვლავ-ბიჭ უეინ რუნის. ეს ორნი 110-110 ათას გირვანქას იღებენ.

მალკოლმ გლეიზერი შიშობს, რომ ფერდინანდისგან ხელფასის მომატების მოთხოვნამ შესაძლოა, გუნდში სხვათა უკმაყოფილება გამოიწვიოს და დანარჩენებმაც ჯამაგირის გაზრდა მოინდომონ.

რიო ფერდინანდისა და მისი აგენტის საქციელი მით უფრო საკვირველია, რომ ინგლისის ნაკრების მცველს რვათვიანი დისკვალიფიკაციის დროს კლუბი გვერდში ედგა.

სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ფერდინანდს საუკეთესო პირობები შესთავაზეს და მან კონტრაქტს დროზე უნდა მოაწეროს ხელი. მისი საქმის მოუგვარებლობა კი გუნდის მომზადებაში ხელს გვიშლის. კლუბის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი ისევ შეხვდება ფერდინანდის აგენტს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება“.

ვაჟა ხუციშვილი

ოლამ თავისი გაიტანა

ესიენი ლიონში რჩება



მიკაელ ესიენი

როგორც გუშინ გაცნობეთ, ფრანგული „ლიონის“ მცველმა მიკაელ ესიენმა კლუბის დატოვების და „ჩელსიში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა. ამას მყისვე გამოეხმაურნენ ლონდონელები, რომელთა თავმჯდომარე პიტერ კინიონი მალევე ჩაფრინდა საფრანგეთში და მოლაპარაკებები განაახლა.

„ჩელსის“ ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ლიონელი კოლეგების გადარწმუნებას შეძლებდნენ და განელ მცველს ინგლისში გაიყოლებდნენ, თუმც ამ საქმისდან არაფერი გამოვიდა და მიუხედავად ესიენის კატეგორიული მოთხოვნისა, იგი „სტად ჟერლანზე“ დარჩება.

„ცოტა რთული სიტუაციაა, მაგრამ მიკაელის შესანარჩუნებლად ყველაფერს გავაკეთებთ. იგი არ იყიდება. ის ჩვენთან ერთად კორეაში წამოვა და თვითმფრინავში პირადად მე ავიყვან“ — თქვა ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ჟანმიშელ ოლამ.

შეგახსენებთ, რომ „ლიონი“ სამხრეთ კორეაში ამხანაგური მატჩების გასამართად მიემგზავრებოდა და დღეს ფრანგები უკვე აზიაში უნდა იყვნენ. ესიენი კი პროტესტის ნიშნად ამ ტურნეში გამგზავრებაზე და საერთოდ გუნდთან ერთად ყოფნაზე უარს აცხადებდა, მაგრამ...

„მიკაელი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და იგი გუნდში დარჩება. რა თქმა უნდა, კორეაშიც წამოგვყვება“ — თქვა „ლიონის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

გიორგი კაკაბაძე

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

კაირატი (ყაზახეთი) 2:0 **პეტრშალკა** (სლოვაკეთი)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 2:0 **ჰაფნარფიორდური** (ისლანდია)
დინამო (ბელარუსი) 1:1 **ანართოსისი** (კვიპროსი)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) 6:0 **სკონტო** (ლატვია)
სლიმა (მალტა) 1:4 **შერიფი** (მოლდოვა)
ლევადია (ესტონეთი) 1:0 **დინამო** (საქართველო)

რაბოტნიჩკიმ სამშაო ექვსზე დაასრულა

რიგის „სკონტომ", რომლის შემადგენლობაშიც ოთხმა ქართველმა ითამაშა, მაკედონიაში „რაბოტნიჩკისგან" ექვსი გოლი გაუშვა. რიგელთა მწვრთნელი იურის ანდრეევსი ნამატჩევს გაოგნებული იყო:

„მეტოქისგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. მათ ყველანაირად გვაჯობეს. ძალიან კარგი შემტევები ჰყავთ და ისღა დამრჩენია, გამარჯვება მივულოცო" — თქვა ანდრეევსმა, რომელმაც ნამატჩევს თანამდებობა დატოვა.

„სკონტო" აქამდე თითქმის ყოველთვის გადიოდა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, მაგრამ ექვსბურთიანი სხვაობის გაბათილება ლატვიურ გუნდს ასეთი თამაშით ძალიან გაუჭირდება.

ჯერ კიდევ 28-ე წუთზე მაკედონიელი ვანჩო ტრაიჩევი პიედელსთან პირისპირ გავიდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ ზაალ ელიავამ ბურთი ხაზიდან გამოაძევა. ორიოდ წუთის შემდეგ „სკონტოს" მაინც გაუტანეს — იგორ კრალევსკიმ საჯარიმოს გარედან ჩაწოდებულ ბურთს საგოლედ უთავაზა.

პირველი ტაიმი მშვიდად ჩამთავრდა, მეორის დასწყისიდან კი მასპინძლები „აფეთქდნენ". ოცწუთიან მონაკვეთში „სკონტოს" კარში ოთხი გოლი გავიდა. რიგელთა რბევა იგნატოვმა პენალტით დაიწყო ნუხიმ, ტრაიჩეკმა და მაზნოვმა ითთო-ითთო გაუტანეს „სკონტოს" დაბნეულ მეკარეს, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ნუხიმ პიედელსს მეექვსედ გამოატანინა ბურთი კარიდან.

მოთამაშეშეწრინელ თემურ ქცბიას „ნართოსისმ" მინკიდან ფრე წილი და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად კვიროსელებს კარგი შანსი აქვთ ქცბიას გარდა „ნართოსსში" ქინლაძემ და წიტაშვილმაც ითამაშეს

სტუმრები „დინამოს" მცველ ლენცევიჩის შეცდომის წყალობით დაწინაურდნენ. ლენცევიჩმა საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთს ფეხი აცილა, რითაც ფრუსოსმა ისარგებლა და ლესკოს გაუტანა.

მეორე ტაიმში ლენცევიჩმა შეცდომა გოლით გამოასწორა. კარისკენ დარტყმულ ბურთს მინსკელმა მცველმა გზად თავი შეაგება და გეზი საგოლედ შეუცვალა.

აბრამიძისა და ადამიას „ნეფთჩიმ" ისლანდიურ „ჰაფნარფიორდურს" ორი გოლი აკმარა და ბაქოელები საპასუხო მატჩშიც ალბათ სასურველ შედეგს მიაღწევენ. მასპინძლები აგილ მამედოვმა პირველივე ტაიმში დაწინაურა, მაგრამ ამის შემდეგ „ნეფთჩიმ" ისლანდიელი მეკარე მხოლოდ ორ-სამჯერღა თუ შეაწუხა, სტუმრებმაც კი ორი ვითომ მომენტი შექმნეს. თამაშის ბოლო წუთზე ზაურ ტაგიზადეს პასით სლოვენიელმა ლეგიონერმა მიშურამ საგოლე თავური დაჰკრა და „ნეფთჩიმ" ორბურთიანი სხვაობა დაიბევა.

ყაზახეთის დედაქალაქ ალმატიში კი პირველი გოლი „კაირატის" კარში გავიდა. მასპინძელთა მეკარე ნაბოიჩენკომ ბურთს დაჰკრა, მაგრამ იქვე მდგომმა მიკულიჩმა ხელით, ბადეში შეაგდო. ცხადია, მსაჯმა გოლი არ ჩათვალა და „ხელბურთელიც" გააფრთხილა.

ყაზახებმა ორჯერვე თავით გაიტანეს: შესვენებამდე ლატვიელმა არტურას ფომენკომ იხეირა, მეორე ტაიმში კი — არტიომოვმა.

ტრასპოლის „შერიფი" მალტურ „სლიმას" სტუმრად იოლად გაუსწორდა. ოცდამეხუთე წუთისთვის მოლდოველები უკვე ორი გოლით იგებდნენ. შესვენების შემდეგ ფლორესკუმ და ეპურეანუმ კიდევ ორი მიამატეს, ხოლო მასპინძელმა ბოგდანოვიჩმა ერთის გაქვითვა მოახერხა.

ვაჟა ხუციშვილი

„სკონტოს" განადგურებას მაკედონიური გაზეთები ასე გამოეხმაურნენ

დევიდმა და ტიერიმ, პეპსი დალიეთო

ხომ ეგონათ გულშემატკივრებს, რომ დევიდ ბექემი და ტიერი ანრი თანაგუნდელები ვერასდროს გახდებოდნენ? ჰოდა, ძალიანაც ცდებოდნენ — „რეალისა" და „არსენალის" ვარსკვლავები ერთად „პეპსი კოლამ" შეჰყარა. ინგლისელი და ფრანგი ჯერ ზღვის ტროპიკულ ნაპირზე კენწლავენ ბურთს, შემდეგ კი წყალში შედიან.

ბექემი: „ფეხბურთის თამაში წყალში კი არა, ხანდახან მოსწორებულ ბალახზე ჭირს... ისე კი, ძალიან სამხიარულო გადაღებები გვქონდა, ასეთი ადრე არაფერი გამიკეთებია და ერთი სული მაქვს, ენახო, რა გამოვიდა".

ანრი: „ადამიანი რეკლამებს ყოველდღე უამრავჯერ, ვინ იცის, დღეში ოცჯერაც უყურებ და შეიძლება ყოველ ნახვაზე რაიმე ახალი აღმოაჩინო. მე ძალიან მიყვარს მათი ცქერა. ყოველი მათგანის სცენარი იმდენად განსხვავებული და საინტერესოა, რომ აღფრთოვანებული ვრჩები".

საპეპსე საქმეში ბექემისა და ანრის გარდა, მონაწილეობენ აგრეთვე რობერტო კარლოსი, რონალდინიო და ფერნანდო ტორესი.

საერთოდ, ეს გახლავთ კამპანია სახელწოდებით, რომლის ქართული თარგმანი დაახლოებით ასეთია: „პეპსის საფეხბურთო წყურვილი", რომელშიც ერთადერთი ინგლისელი, დევიდ ბექემი მონაწილეობს.

პაპუნა კედია

ლივერპული კლასს იმაღლებს მილიტო კი, ნუნიესი არა

არგენტინელ გაბრიელ მილიტოს თვალი „ლივერპულმა" დაადგა

ინგლისურ „ლივერპულს" გაბრიელ მილიტოს შეძენა გადაუწყვეტია. მერსისაიდელები „სარაგოსას" ამჯერად 7,5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ და იმედი აქვთ, რომ ეს საკმარისი იქნება. ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორთა თავკაც რაფაელ ბენიტეს თქმით, მისი გუნდი კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელით უნდა გაძლიერდეს.

„უფრო მეტი მოთამაშეები და კლასის ამაღლება გვჭირდება. ეს გარანტიას მოგვცემს, რომ ყოველი მატჩისთვის კარგი შემადგენლობა გვეყოლება. განსაკუთრებული პრობლემები დაცვაში გვაქვს. ერთი ცენტრალური მცველი აუცილებლად უნდა დავიმატოთ, ასევე მარჯვენა გარემარბი და ფეხბურთელი" — განმარტა ბენიტესმა.

თუ ტრანსფერი შედგა, მილიტო „ლივერპულში" თავის თანამემამულე მაურისიო პელეგრინოს შეცვლის, რომელმაც მერსისაიდელთა მოლოდინი ვერ გაამართლა. 24 წლის მილიტო კი პრიმერადივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესო მცველად ითვლება.

„ლივერპულისგან" საინტერესო წინადადებას თუ მივიღებ, უარის თქმა ძალიან გამიძნელდება. „სარაგოსაში" ბედნიერი ვარ, მაგრამ ევროპის საუკეთესო კლუბი ყოველდღე არ დაგპატიჟებს" — ეს გაბრიელ მილიტოს მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადებაა.

აქვე ვახსენოთ ანტონიო ნუნიესიც, რომელმაც, პელეგრინოს დარად, მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა. „ლივერპულის" თავკაცის გადაწყვეტილებით, ივი „ენფილდს" დატოვებს.

რაფაელ ბენიტესი: „მე ნუნიესს ვესაუბრე და ყველაფერი ავუხსენი. ახლა მისთვის ახალ კლუბს ვეძებთ და ყველანაირად დავეხმარებით. ჯერჯერობით დაინტრიგებული წინადადება არ მიგვიღია, თუმცა ვიგოს „სელტა" და კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტერესებული".

გიორგი ძაძაბაძე

მე ყველას ვაჩვენე

(დასაწყისი იხილეთ №146, №152 „სარბიელი“)

მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ფრანც ბეკენბაუერთან ღიად კამათი შეეძლო. „კაიზერ ფრანცი“ „ბაიერნის“ პრეზიდენტობას კომენტატორობასაც უთავსებდა. „კაიზერსლაუტერნთან“ 0:4 დამარცხების შემდეგ ბეკენბაუერმა პირდაპირ ეთერში ბრაიან ლაუდრუპი და ფრანკ ვოლფარტი გალანძღა. გაზეთის საშუალებით პრეზიდენტს ვკითხე, გაქვს თუ არა უფლება, საჯაროდ ლანძღო საკუთარი კლუბის ფეხბურთელები-მეთქი. ამ სტატიის მერე მთელი გუნდი ჩემი მეგობარი გახდა, სამაგიეროდ, კლუბის უფროსები გადავიმტერე.

მალე მწვრთნელი, სორენ ლერბიუ გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ერიხ რიბეკი დანიშნეს. ეს კაცი ნაღდი ჯენტლმენი იყო, კოხტად ჩაცმული და დავარცხნილი. ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს სადალაქოდან ეს-ესაა გამოვიდაო. რიბეკი კარგი მწვრთნელიც გახლდათ, თუმც ჩემი შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. მე უკვე ბუნდესნაკრების ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ „ბაიერთან“ ერთად არაფერი მომეგო. გუნდიდან წასვლა მინდოდა და ული ჰაინესი მიხვდა, რომ „ბაიერნში“ აღარ გავჩერდებოდი. ული, რა თქმა უნდა, საუკეთესო ბუნდესლიგელი მენეჯერია და უპირველესად იმიტომ, რომ საკუთარ შეცდომებზე სწავლობს. ჰაინკესის გათავისუფლება და უცნაური ლერბიუს მოყვანა, მისი მხრიდან აშკარად მცდარი ნაბიჯი გამოდგა. ჰაინესს მსგავსი შეცდომა აღარ გაუმეორებია.

ახალი მენეჯერის დებიდება

1992 წელს ჩემით ფლორენციის „ფიორენტინა“ დაინტერესდა, მაგრამ აგენტი ნოლბერტ პფლიგერი, რომელსაც ეს საქმე უნდა მოეგვარებინა, მოლაპარაკებაზე თავის ადვოკატს აგზავნიდა. ამის მიზეზი კი ლოთარ მათეუსი გახლდათ. ახალნაოპერაციები მათეუსი კოლორადოში სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა. პფლიგერს ჩემზე მეტად ის აინტერესებდა, რადგან მისი აგენტიც იყო და მეტ ხეირს ელოდა.

ადვოკატმა „ფიორენტინასთან“ საქმე გაჩარხა, მაგრამ ფლორენციელები იტალიაში ჩასვლისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებას უარობდნენ. ადვოკატი ამბობდა, ამაზე ისინი არ დაგვთანხმდებიანო. მოლაპარაკებაში ჩემი ცოლი მარტინა ჩაერია და ისე უცბად მოაკვარახჭინა ყველაფერი, რომ გაოცებული დავრჩი. „ფიორენტინამ“ იტალიაში ჩასვლის ხარჯებიც იკისრა, სახლის დაქირავებაზეც დაგვთანხმდა და ავტომობილზეც. გადასარეკია! — ვიფიქრე, ყოჩაღ მარტინა. ოთხწლიან კონტრაქტზე მოვაწერე ხელი. პირველ წელს 750 ათასი მარკა მერგებოდა, მეორე წელს — 850 ათასი, მესამე სეზონში — მილიონი, ბოლოს კი — მილიონ 200 ათასი.

„ამიერიდან ჩემს საქმეებს შენ განაგებ“ — ვუთხარი ცოლს. გერმანიაში აგენტები სატრანსფერო გარიგებიდან 15-20 პროცენტს „ჭრიან“ და ნოლბერტ პფლიგერს ამისთვის ბევრი უნდა ერბინა. პფლიგერთან კონტრაქტი გავწყვიტე და რამდენიმე მისმა კლიენტმა მე მომბაძა, მათ შორის ოლივერ კანმაც�. ცხადია, ბევრს არ მოეწონა, რომ ჩემმა ცოლმა აგენტობა შეითავსა. მითუმეტეს, კაცურ საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ თვით ბერნდ შუსტერისა და თომას ჰესლერის მეუღლეები ქმრების აგენტები იყვნენ და ამ საქმეს კარგად ასრულებდნენ.

ეფენბერგის საცოლე ლაუდრუპი

მაშ ასე, იტალიაში გადავედი. სეზონისწინა შეკრება ჯოჯოხეთად მექცა. თითქმის რვა კვირის განმავლობაში 45-გრადუსიან სიცხეში ვვარჯიშობდით. მეგონა, მოვკვდებოდი, ნელ-ნელა შევეჩვიე. პირველ სეზონს რაც შეეხება, ყველასთვის მოულოდნელად, „მილანის“ შემდეგ მეორე ადგილზე გავედით.

ჯერ კიდევ „ბაიერნში“ თამაშისას ბრაიან ლაუდრუპთან ვმეგობრობდი. ჩვენ ოჯახებით ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობდით და უმცროსი ძმასავით მიყვარდა. მეტსაც გეტყვით, ქალი რომ ყოფილიყო, ალბათ ცოლად მოვიყვანდი.

ფლორენციაში ჩასვლისთანავე „ფიორენტინას“ პატრონმა ლაუდრუპზე მკითხა. „რა თქმა უნდა, ახლავე უნდა გადმოიყვანოთ“ — ვუპასუხე. ჩვენ ისევ ერთად ვიქნებოდით და ეს ამბავი ძალიან მახარებდა. რამდენიმე დღეში ბრაიან ლაუდრუპის ტრანსფერი მოგვარდა და ისიც „ფიორენტინაში“ გადმოვიდა.

თავიდან ჩვენ ერთად ვცხოვრობდით სასტუმრო „ვილა ლა მასაში“. ბრაიანი ერთი კვირით დანიაში წავიდა. მან ახალთახალი „მერსედესი“ დატოვა, რომელიც ევრო 92-ზე გამარჯვების შემდეგ იყიდა. სანამ სამშობლოდან დაბრუნდებოდა, მისი ავტომობილით გავისეირნე. პორტიე გვიცნობდა და გასაღები უპრობლემოდ მომცა. „მერსედესი“ ისევ თავის ადგილზე დავაყენე და დაბრუნებულ ბრაიანს ვუთხარი, შენი ავტო გავსინჯე-მეთქი. ლაუდრუპს სახე ეცვალა: „როგორ გაბედე ჩემი „მერსედესით“ სარგებლობა?“ — მიღრიალა მან. რა მოგივიდა, ბრაიან, შენს ცოლთან ხომ არ ვწოლილვარ, მხოლოდ ავტომობილით გავისეირნე-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი „ფერარი“ რომ წაეყვანა, ხმას არ ამოვიღებდი. ჩვენი მეგობრობა 15 წუთში დასრულდა. შეკრებაზე ცალ-ცალკე ოთახებში ვცხოვრობდით, ოჯახებითაც ერთად სავახშმოდ აღარ მივდიოდით და არც მის ფლორენციულ სახლში ვყოფილვარ. ერთი წლის შემდეგ ლაუდრუპი „მილანში“, შემდეგ კი „რეინჯერსში“ გადავიდა. ამის მერე მხოლოდ ორჯერ ვესაუბრეთ ერთმანეთს ტელეფონით და აღარსად შემხვედრია.

ვიტორიოს ცოლის საყვარელი

გუნდში ყველაფერი კარგად აეწყო. „ფიორენტინაში“ კიდევ ათი წლით დარჩენაზე დავთანხმდებოდი. ჩვენი მწვრთნელი ჯიჯი რადიჩე 70-ს მიტანებული კაცი იყო. ყველა ფეხბურთელთან საერთო ენა იოლად გამონახა. მატჩამდე, სადილობისას თითო ჭიქა ღვინის დალევა ნებადართული გვქონდა. მე, როგორც გერმანელი, თამაშამდე ალკოჰოლს ვერიდებოდი, იტალიელები კი სვამდნენ.



შობამდე რამდენიმე დღით ადრე, გუნდის კაპიტანმა სტეფანო კაროლმა დამირეკა და მითხრა, რომ ჯიჯი მოხსნეს. უკაცრავად? — ვიფიქრე მე, იტალიური კარგად არ ვიცი და მომესმა? სამწუხაროდ, ასე მოხდა. ძალიან მეწყინა რადიჩეს გაშვება და შობის დღესასწაული ჩამიმწარდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩვენი მწვრთნელის ვაჟი კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის ცოლთან დაძვრებოდა. ის ძალიან ლამაზი ქალი, ადრე მოდელი იყო და ჯიჯის შვილმა ცთუნებას ვერ გაუძლო. ვიტორიოს მამა, მარიო ჩეკი გორი „ფიორენტინას“ პრეზიდენტი გახლდათ და მისი სიტყვა კლუბში კანონობდა. სწორედ მან გაათავისუფლა ჯიჯი რადიჩე. მწვრთნელის წასვლის შემდეგ გუნდი სერია **A**-ს ფსკერზე დაეშვა და სერია **B**-ში ჩაქვეითდა. მე, ბრაიან ლაუდრუპი და გაბრიელ ომარ ბატისტუტა გულშემატკივრებისთვის ყველაზე საძულველი ფეხბურთელები გავხდით. ქალაქში დაცვის გარეშე გადაადგილებაც კი არ შეგვეძლო.

ასეთმა ვითარებამ ჩემს ოჯახზეც უარყოფითად იმოქმედა. მე, ბუნდესნაკრების ფეხბურთელი, არ ვაპირებდი ღამ-ღამობით პოლიციის თანხლებით საკუთარ სახლში შეპარვას და იტალიურ სოფლებში თამაშს 7 340 მაყურებლის წინაშე.

ულაუდიო რანიერის უცნაური ტაქტიკა

სერია **B**-ში თამაში არ მინდოდა, მაგრამ ვითარება კლაუდიო რანიერის მოსვლამ შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა დარჩენა მთხოვა. კარგად ბრძანდებოდე, შტეფან, ვუთხარი საკუთარ თავს, შენ იტალიის ყველა პატარა ქალაქის ნახვის საშუალება გექნება.

ჩემპიონატი რიგიანად დავიწყეთ, მაგრამ რანიერისთან საერთო ენის გამონახვა გამიჭირდა. უცნაური სამწვრთნელო მეთოდები ჰქონდა. სალამოს ხუთზე ვიწყებდით ვარჯიშს და სამი საათის განმავლობაში მისი ტიქტიკური სიახლეების შესწავლას ვუნდებოდით. ერთხელ, ვარჯიშისას, გვერდით ჩავურბინე და ხელით მაჯაზე ვანიშნე, დროა, დავამთავროთ-მეთქი. რანიერიმ არაფერი მიპასუხა, მაგრამ ისე შემომხედა, როგორც მოსისხლე მტერს.

უკვე „ფიორენტინას“ კაპიტანი ვიყავი, როცა შობის შემდეგ გერმანიაში შევყოვნდი. კბილები საშინლად მტკიოდა და კლუბს დროულად ვაცნობე, რომ დამაგვინდებოდა. ფლორენციაში ჩასვლისას რენტგენის სურათები ჩავიტანე, რათა ჩემს სიმართლეში არ დაეჭვებულიყვნენ. კლაუდიო რანიერიმ არ დამიჯერა. „კაპიტანი ასე არ იქცევა — მითხრა მან — ის ყოველთვის გუნდთან ერთად უნდა იყოს“.

1994 წლის გაზაფხულზე „ფიორენტინამ“ სერია **A**-ს სტვზური მოიპოვა. სეზონის ბოლოს დავშავდი და ვმკურნალობდი. რანიერი ბედნიერი იყო, რომ ვერ მხედავდა, მეც დავისვენე მისი სიფათისგან. გადავწყვიტე, გუნდიდან წავსულიყავი, ფლორენციელებმა კი მოულოდნელად ახალი, ოთხლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მე და მარტინამ ვიფიქრეთ და ისეთი თანხა დავუსახელეთ, იტალიელები ვერ შესწვდებოდნენ. საკვირველია, მაგრამ ისინი დაგვთანხმდნენ. წინასწარი გარიგება შედგა და ყოველწლიურად მილინ 300 ათასი მარკა მერგებოდა, ოფიციალურად კონტრაქტი კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უნდა გაგვეფორმებინა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. წინასწარი გარიგება ვიღას ახსოვდა, „ფიორენტინამ“ მანუელ რუი კოშტა და შვედი მცველი შტეფან შვარცი შეიძინა. სეზონისწინა ვარჯიში მაინც იტალიაში დავიწყე.

როლფ რიუსმანის შოუ

იტალიაში თავის დაღუპვას არ ვაპირებდი, რამე უნდა მომეფიქრებინა. ერთ დღესაც აგენტმა ვოლფგანგ ფეგემ დამირეკა და ბრემენის „ვერდერში“ გადასვლა შემომთავაზა, რომელსაც მაშინ ოტო რეჰაგელი თავკაცობდა. მე ამ ვარიანტის განხილვაზე დავთანხმდი.

მალე „ვერდერის“ მენეჯერი ვილი ლემკე მესტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე შვეიცარიაში ოტო რეჰაგელს შეეხვდი და ყველა დეტალი შევათანხმეთ, ლემკე გამზადებულ კონტრაქტს დაწერილებით ჩაეძია და გარიგება ჩაშალა. წასვლის წინ მითხრა, დაგირეკავო, მაგრამ თვითონ დავრეკე, ოღონდ მიონხენგლადბახში, „ბორუსიას“ მენეჯერ როლფ რიუსმანთან, რომელთანაც ვმეგობრობდი. „მომისმინე, როლფ, 24 საათი გაქვს საიმისოდ, რომ „ბორუსიაში“ დამაბრუნო“ — ვუთხარი მე.

12 საათის შემდეგ რიუსმანი საკუთარი თვითმფრინავით ფლორენციაში მეწვია. საღამოს კონტრაქტზე შევთანხმდით და „ბორუსიამ“ „ფიორენტინასგან“ ერთი წლით წამიყვანა, შემდგომში გამოსყიდვის უფლებით. როლფმა გარისკა, მაგრამ მას არ ეშინოდა რისკის. ლემკესგან განსხვავებით, რიუსმანმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და გააკეთა ის, რაც სურდა. როლფ რიუსმანი ნაღდი მენეჯერია! ვილი ლემკე კი ახლა იქაა, საღაც უნდა იყოს — ბრემენში, მუშაობს. ფეხბურთი მისი საქმე არაა.

ასე დავბრუნდი მშობლიურ მიონხენგლადბახში. ჩემმა ჩასვლამ აბონემენტების გაყიდვაზე იმოქმედა და იმ სეზონში 6 ათასით მეტი გაიყიდა. „ბორუსიას“ მაისურებიც რეკორდულად გასაღდა. ჯერ კიდევ აეროპორტში, როლფ რიუსმანმა ველოსიპედი მომიყვანა. „რას ნიშნავს ეს?“ — ვიკითხე. „შენ ხომ ფეხით აპირებდი მიონხენგლადბახში დაბრუნებას, ოღონდ კი ულორენციიდან წამოსულიყავი — მიპასუხა მენეჯერმა — დაჯექი, დღეიდან ნაღდი შოუ იწყება...“

(გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს)

სარგებელი კროკ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

ავსტრია. I დივიზიონი

15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	6	კაფენბერგი-ალტახი	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
21:00	7	გრატკორნი-ლეობენი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
21:00	8	კუფშტაინი-შვანენშტადტი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
21:00	9	აუსტრია(ლ)-ლინცერი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
21:00	10	კერნტენი-აუსტრია(მ)	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14

შვეიცარია. სუპერლიგა

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	12	გრასჰოპერი-ივერდონი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
21:30	13	სტ.გალენი-ციურიხი	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
21:30	14	თუნი-აარაუ	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
21:30	15	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	16	ბადენი-ლუგანო	2.80	3.10	2.20	1.47	1.23	1.28
21:30	18	კონკორდია-იუვენტუსი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	19	ლოკარნო-შო დე ფონი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:30	20	კიასო-ბელინცონა	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
21:30	22	სიონი-ლუცერნი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
21:30	23	კრინსი-ვოლენი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
21:30	24	ლოზანა-ვინტერთური	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74

17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	17	ვადუცი-მეირინი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
16:30	21	ბოლმი-ვილი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54

რუსეთი

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	25	მოსკოვი-სპარტაკი	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26

17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	26	ტერეკი-ცსკა	6.00	3.60	1.45	2.25	1.16	1.03
15:00	27	დინამო-ზენიტი	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49
15:00	28	როსტოვი-ტორპედო	2.50	2.90	2.80	1.34	1.32	1.42
15:00	29	ალანია-კრილია	2.00	2.90	3.70	1.18	1.29	1.62
15:00	30	ამკარი-შინიკი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
15:00	31	რუბინი-სატურნი	1.85	3.10	3.90	1.15	1.25	1.72
15:00	32	ტომსკი-ლოკომოტივი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12

სლოვაკეთი

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	33	ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
20:00	35	ჟილინა-ნიტრა	1.45	3.60	6.40	1.03	1.18	2.30
20:00	36	რუჟომბეროკი-ინტერი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
20:00	37	პეტრჟალკა-ტრნავა	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13

ნორვეგია. I დივიზიონი

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	38	პორს გრენლანდი-ალტა	1.35	4.50	6.00	1.03	1.10	2.57

17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	39	ბრინი-სტაბეკი	2.35	3.70	2.40	1.43	1.18	1.45
20:00	40	მანდალი-ჰიოდი	1.65	4.10	3.90	1.17	1.15	1.99
20:00	41	ლოვ ჰამი-მოსი	3.60	3.80	1.75	1.84	1.17	1.19
20:00	43	კონგსვინგერი-სოვნდალი	2.20	3.60	2.70	1.36	1.21	1.54
20:00	44	ჰიონეფოსი-ფოლო	1.55	4.20	4.70	1.13	1.16	2.21
20:00	45	სტეჯორდსტრომსგოტი	1.65	3.60	4.30	1.13	1.19	1.95

შვედეთი

ალსვენსკა

17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	47	ჰელსინგბორგი-იორგრიტე	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
19:00	48	ჰამარბი-ლანდსკრონა	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	49	მალმიო-ჰალმსტადი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	50	ასირისკა-ჰეკენი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
21:00	51	იურგორდენი-სუნდსვალი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
21:00	52	კალმარი-ელფსბორგი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45

შვედეთი. სუპერეტა

16 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	55	ეაის-ბრომაპოიკარნა	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
18:00	56	იოსტერსი-დეგერფორსი	1.60	3.40	4.60	1.08	1.18	1.95
18:00	57	ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
18:00	58	აიკ-ტრელებორგი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40

17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	59	ფრიოლუნდა-ბოდენსი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
19:00	60	იორებრო-მიალბი	1.45	3.90	5.80	1.05	1.15	2.33
19:00	61	ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
19:00	62	ვესტეროსი-ვესბი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50

შესაძლო ცვლილებები აგგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		16 ივლისი						
17:00	65	იარო-ჰაკა	3.40	3.20	1.90	1.64	1.21	1.19
17:00	66	კტპ-ლაჰტი	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
		17 ივლისი						
20:00	67	კუოპიო-მიუპა	3.50	3.30	1.85	1.69	1.21	1.18
20:00	69	ტპ 47-როვანიემი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
20:00	70	ალიანსი-ტურკუ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		ირლანდია						
		15 ივლისი						
22:30	79	უოტერფორდი-ბრეი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
22:45	80	დროგედა-კორკი	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.23
22:45	81	დუბლინი-სტ.პატრიკსი	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
22:45	82	შემროკი-დერი	2.65	3.00	2.35	1.40	1.24	1.31
		16 ივლისი						
22:45	83	ჰერპსი-ბოჰემიანი	3.00	3.10	2.10	1.52	1.23	1.25
		აშშ						
		15 ივლისი						
23:45	102	ვაშინგტონი-სან ხოსე	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
		16 ივლისი						
23:45	103	ჩიკაგო-კოლამბუსი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
23:45	104	ნიუ იორკი-კოლორადო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
23:45	105	ნიუ ინგლენდი-დალასი	2.30	3.00	2.80	1.30	1.26	1.44
23:45	106	კანზასი-სოლტ ლეიკი	1.45	3.70	5.80	1.04	1.15	2.25
23:45	107	ლოს ანჯელესი-ჩივასი	1.45	3.60	6.20	1.03	1.17	2.27
		უეფას თასი						
		14 ივლისი						
20:00	131	ნისტრუ-ხაზარი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
22:30	132	მაისცი-აშტარაკი	1.06	7.50	15.00	1.00	1.00	5.00
22:30	133	ლონგფორდი-კარმარტენი	1.40	4.50	5.00	1.06	1.09	2.36
19:30	134	ტეუტა-შიროკი ბრიეგი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
19:30	135	ელბასანი-ვარდარი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
18:00	136	ბაქო-ყილინა	4.00	3.50	1.70	1.86	1.19	1.14
19:30	137	ტვმკ-მიუპა	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
21:00	138	რუნავიკი-მეტალურგი(ლ)	6.70	4.40	1.30	2.65	1.08	1.00
18:00	139	ბანანცი-ლოკომოტივი(საქ)	2.55	3.10	2.35	1.39	1.22	1.33
21:00	140	ესბიერგი-ფლორა	1.15	5.50	13.00	1.00	1.05	3.86
22:00	141	ფერენცვაროში-მტზ რიპო	1.25	4.80	8.00	1.00	1.08	3.00
23:00	142	ბირკირკარა-აპოელი	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
19:00	143	ტორპედო(ქ)-ბატე	1.80	3.30	3.50	1.16	1.18	1.69
19:00	144	ეკრანასი-კორკი	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
20:30	146	ეტცელა-კეფლავიკ	4.30	3.50	1.65	1.92	1.19	1.12
20:45	147	სანტა ხულია-რაპიდი	10.00	6.00	1.10	3.75	1.00	1.00
21:30	148	ვადუცი-დაჩია	1.45	4.00	5.30	1.06	1.13	2.27
22:00	149	ვესტმანაეიარი-ტორშავნი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
21:00	150	ომონია-ჰიბერნიანი	1.20	5.20	9.50	1.00	1.06	3.36
22:00	151	პორტადავნი-ვიკინგი	4.70	3.60	1.55	2.03	1.16	1.08
22:30	152	რილი-ატლანტასი	2.80	3.10	2.20	1.47	1.23	1.28
22:45	153	ლინფილდი-ვენშპილსი	2.60	3.10	2.40	1.41	1.24	1.35
22:45	154	დომანიანო-დომუალე	10.00	5.20	1.20	3.42	1.07	1.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ამხანაგური მატჩები						
		14 ივლისი						
21:00	170	კიოლნი-ბეშიქთაში	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
		ხორვატია. სუპერთასი						
		15 ივლისი						
23:00	189	ჰაიდუკი-რიეკა	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		ლიბერტადორესის თასი						
		14 ივლისი						
23:45	196	სან პაულუ-ატლეტიკო პრ	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
		ჩოგბურთი კაცები მანჩესტერი ბალახი						
		14 ივლისი						
15:00	434	ვუდალი-სტოპინი	1.55					2.00
15:00	435	მახუტი-ვაცეკი	1.60					2.05
15:00	436	პარმარი-ჩაილდხი	1.35					2.60
		ჩოგბურთი კაცები ეპტოსი						
		14 ივლისი						
21:00	444	ოკუნი-მამიტი	1.60					2.05
21:00	445	დანჩევიჩი-ლევი	1.60					2.05
21:00	446	მიურეი-კიმიჩი	1.30					2.90
		ჩოგბურთი ქალები მოდენა						
		14 ივლისი						
13:00	439	მამიჩი-იან ძი	1.20					3.80
13:00	440	ეარბინი-კოსტანიჩი	1.65					1.95
13:00	443	დიას ოლივა-სუხა	1.50					2.20
		კრივი						
		16 ივლისი						
22:00	600	სკილტონი მ-უილიამსი დ	1.60			20.00		2.20
22:00	601	ლარიოსი ო-მაკალოხი უ	1.20			25.00		4.00





კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახელებული
ქალაქები
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

ევროპის ჩემპიონატი B დივიზიონი ვარნა 8-17 ივლისი

მოგების ტოლფასი წაგება

ქართველები პოლონელებთან მარცხმა გაახალისა

ბრწყინვალედ დაწყებული ჯგუფური ეტაპი საქართველოს ნაკრებმა უსახურად ჩაამთავრა და სამი მოგების შემდეგ ჯერ სლოვაკეთთან დამარცხდა, გუშინ კი პოლონეთისგანაც გაცამტვერდა.

ერთი შეხედვით, 27-ქულიანი მარცხი ტრაგედიის ტოლფასია, მაგრამ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქართველთა დამრიგებელი და მთლიანად გუნდი პოლონელებთან წაგების შემდეგ მშვენიერ ხასიათზე ყოფილან.

რატომ? გახსოვთ, რას ამბობდა ტურნირის დაწყების დღიდან საქართველოს ნაკრების თავკაცი ნუგზარ კანდელაკი? ჩვენი მთავარი მიზანია ჯგუფში ის ადგილი დავიკავოთ, რომელიც პლეი ოფის საწყის რაუნდებში, ფინალამდე ბულგარეთს აგვარიდებსო.

ჰოდა, მიზანი მიღწეულია — ქართველებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და **B** ჯგუფში ასევე მეორეზე გასულ ბულგარელებს ფინალამდე არ შეხვდებიან, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენები წარმატებით გადალახავენ საპლეიოფო ბარიერებს.

საქართველო — პოლონეთის მატჩამდე უნგრეთი პორტუგალიასთან კი დამარცხდა, მაგრამ ამით ეს გუნდი მაინც პირველ ადგილზე დარჩა. უნგრელებისთვის ეს წაგება პირველი იყო ჯგუფში და ამდენივე მარცხის მქონე ბულგარელებს პირადი გამარჯვების ხარჯზე უსწრებდნენ. ასე რომ, ვინც **A** ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდა, მეოთხედფინალში **B** ჯგუფის მესამეადგილოსანს კი ხვდებოდა, მაგრამ ნახევარფინალში ბულგარეთი—სლოვაკეთის წყვილში გამარჯვებულთან უწევდა ბრძოლა.

იმასაც გაგახსენებთ, თუ რა თქვა კანდელაკმა ორიოდ დღის წინ.

„აქ ყველა იმას ფიქრობს, მასპინძლებთან საპლეიოფო ჯახი თავიდან აიცილოს და შესაძლოა, ბოლო ტურში საქართველო — პოლონეთის მატჩის წინ ისეთი კომიკური ვითარება შეიქმნას, რომ არც ერთ გუნდს გამარჯვება ხელს არ აძლევდეს.“

ვერ დავიჩემებთ, კანდელაკის სიტყვები ახდაო, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ პირველ ტაიმში პოლონელები მოსაგებად განზრახ არ თამაშობდნენ.

„როცა პირველი ტაიმის შემდეგ 7 ქულით ვიგებდით, ბიჭები გასახდელში აღშფოთებულნი შემოვიდნენ. ისინი ჩიოდნენ, ეს რა არის, პოლონელებს თამაში არ უნდათ, აშკარად შეცდომებს უშვებენო — გვითხრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა გუშინ — მესამე მეოთხედში პოლონელებმა მეორე ხუთეული, სულ სათადარიგოები გამოიყვანეს, რაც აშკარად იმის მანიშნებელი იყო, რომ მათ არ სურდათ გამარჯვება“.

სწორედ მესამე მეოთხედამდე იყო თანაბარი თამაში და მერე ქართველები უსაშველოდ ჩამორჩნენ. რომ ვთქვათ, ჩვენები განზრახ აცილებდნენ ბურთებსო, არ იქნება მართალი. ტატო ვაშაკიძე ბევრს ეცადა და სამი სამქულიანიც ჩაუგდო პოლონელებს, თუმც საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ პოლონეთმა 27 ქულით იმარჯვა და მეოთხედფინალში შვედეთს რომ შეხვდება, მერე, სავარაუდოდ, ბულგარელებთან მოუწევს ჭიდილი.

ქართველები კი ნამარცხევს მშვენიერ ხასიათზე ყოფილან. ნუგზარ კანდელაკმა პირველი მისია შეასრულა და მასპინძელი ბულგარეთი მეოთხედ და ნახევარფინალებში თავიდან აიცილა.

შეგახსენებთ, რომ **A** დივიზიონის საგზურს ის ორი გუნდი მოიპოვებს, რომელიც ფინალში გავა.

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი

სლოვაკეთი 87:73 ირლანდია

ფინეთი 104:65 ისლანდია

პოლონეთი	5	5	0	433:319	0
საქართველო	5	3	2	377:344	8
სლოვაკეთი	5	3	2	392:360	8
ფინეთი	5	3	2	392:360	8
ირლანდია	5	1	4	345:387	6
ისლანდია	5	0	5	282:451	5

B ჯგუფი

უნგრეთი	5	4	1	430:364	9
ბულგარეთი	5	4	1	439:390	9
ბელგია	5	3	2	427:347	8
შვედეთი	5	2	3	349:357	7
პორტუგალია	5	2	3	356:359	7
ალბანეთი	5	0	5	311:495	5

საქართველო 66:93 პოლონეთი

15:20 26:14 13:28 12:31

	წთ	ქ	მ	პ	ჩ	დ
ვაშაკიძე	22	16	1	2	1	-
გამყრელიძე	21	3	1	1	2	2
მამაცაშვილი	10	2	1	-	-	2
ჩავლეიშვილი	24	9	6	1	-	1
ათუაშვილი	20	4	4	-	-	1
მდივანი	16	8	4	1	-	1
ცინცაძე	20	3	5	3	2	5
საყვარელიძე	17	9	4	1	-	3
ჩხატარაშვილი	30	7	7	1	2	1
ფარლალავა	20	5	4	3	2	2

წითელი დრაკონი შავ ზღვაში ჩავარდა

იაპონიაში, აიტის პრეფექტურის სპორტის სასახლეში 2005 წლის სეზონის მეოთხე დიდი ბაშო გაჩაღებულა. უმაღლეს დივიზიონ მაკუტის მკვიდრნი იმპერატორის თასისთვის იბრძვიან. დღეს შეჯიბრის მეხუთე დღეა, წინა ოთხმა კი ისე ჩაიარა, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა. 160-კილოგრამიანი ლევან ცაგურია, იგივე კოკაია ჯერაც დაუმარცხებლად მიიწევს წინ და შესაბამისად, ლიდერთა სამეულშიც გამაგრებულა იოკოძუნა ასასიორუსა და 180-კილოგრამიან ივაკიამასთან ერთად.

მეოთხე გამარჯვება ქართველმა გუშინ მოიპოვა ასასიორუს თანამემამულე და ძმაკაც ასასეკიორუსთან. „წითელ დრაკონად“ წოდებულ მონღოლს „შავმა ზღვამ“ პირველივე წამიდან აგრესიულად შეუტია და არენის ნაპირას მიიმწყვდია. ასასეკიორუმ ბოლო ძალები მოიკრიბა და გარეთ გავარდნას გადაურჩა, თუმც იქვე კოკაის მოულოდნელ ილეთზე წამოეგო და წაიქცა.

ამ გამარჯვებით ქართველმა სეკიტორიმ „წითელ დრაკონთან“ პირადი შეხვედრების ბალანსიც დადებითი გახადა. იქამდე ანგარიში 2:2 იყო.

დღის ბოლო შეხვედრა ტრადიციულად იოკოძუნასი იყო და მანაც ჩვეულად გაილაღა. 26 წლის 140-კილოგრამიანი კომუსუბი კაკიძე თავის დროზე იოკოძუნაც იყო, ოღონდ მხოლოდ ეკრანზე. ბავშვობის წლებში იაპონიის ნაციონალური ჭიდაობის მე-20 საუკუნის დასაწყისის ლეგენდის — ფუტაბაიამას როლი შეასრულა. გუშინ მსახიობს მწარე რეალობასთან მოუხდა თვალის გასწორება, ნამდვილმა იოკოძუნამ ოთხიოდ წამში გაუძახა არენიდან.

„ცისფერი დრაკონის“ მეხუთე მეტოქე 31 წლის ეკს-ოძეკი ძიძიკაა. ეს დევკაცი თურმე კაკიძოეს მეგობრობს და ასასიორუზე მისი ჯავრის ამოყრასაც შეეცდება, თუმც საეჭვოა, ამ საქმიდან რაღა ვამოუვიდეს. „შავი ზღვის“ დღევანდელი მოწინააღმდეგე კი მაკუტის ჩრდილოოსეთელი მკვიდრი რიხოა.

ოთარ მაღლაკელიძე

ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

ალპებში ალპინიადა გრძელდება



AFP ბრიანკონიდან

„ტურ დე ფრანსის“ წლევანდელ ველორბოლას ნელ-ნელა დაძაბულობაც ემატება და სულ უფრო საინტერესოც ხდება.

გუშინ ველომრბოლებმა მეთერთმეტე ეტაპი მოილიეს, უკანასკნელ ფინიშამდე კი კიდევ ათი ეტაპი აქვთ გადასაგორებელი.

კურშევლიდან ბრიანკონამდე 173 კმ-ია და გზა ალპებზე გადის. როგორც წესი, სწორედ ასეთ ტრასებზე ჩანს, ვინ რისი მაქნისია მთლიანად რბოლაში. ზოგი დატვირთვას ვერ უძლებს, ზოგი უხერხულ მოსახვევში იმტვრევა, ზოგი კი დაღმართში ვერ იმორჩილებს რკინის რაშს. ისეთებიც მრავლად გამოჩნდებიან ხოლმე, სიმნელეების დაძლევას უკანონო გზებით რომ ცდილობენ.

იტალიელი ველომრბოლი დარიო ფრიგო ფრანგმა პოლიციელებმა დაიკავეს. მიზეზი ის გახლავთ, რომ მისი მეუღლის ავტომობილში დიდი რაოდენობით აკრძალული პრეპარატები აღმოჩნდა. ახლა გამოძიებამ ის უნდა დაადგინოს, დარიო მხოლოდ თვითონ არის დოპინგის მომხმარებელი, თუ ამ პრეპარატების გავრცელებითაც გახლდათ დაკავებული. ისიც დასაშვებია, რომ შავბნელი საქმიანობით მხოლოდ მისი ცოლია დაკავებული და სპორტსმენი არაფერ შუაშია.

თუ ამ საქმის გასარკვევად დროა საჭირო, სამაგიეროდ, მეორე შემოხვევაში გამოსაძიებელი ბევრი აღარაფერია. რუსი ევგენი პეტროვი, რომელიც „ლამპრეს“ გუნდის წევრია, დოპინგ-ტესტზე „ჩაიჭრა“. მის სისხლში ეგრეთ წოდებული „წითელი სხეულების“ არანორმალურად დიდი რაოდენობა აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენი მეტად „პოეტური“ სახელწოდების აკრძალულ ნივთიერება ერითროპოეტინს ეტანებოდა.

ორივე „ეჭვმიტანილი გამოძიების ღასრულებამდე შეჯიბრიდან მოკვეთილია, ჩვენ კი დროა, უფრო კეთილსინდისიერი ველომხედრების შედეგებზე მოგახსენოთ.

საშუალოდ 36,087 კმ/სთ სიჩქარის განვითარება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყაზახ ალექსანდრე ვინოკუროვს ფინიშამდე პირველს მიეღწია. მისი დრო 4 სთ. 47 წთ, 38 წმ-ია, მეორე ადგილზე გასული კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო გამარჯვებულს 1 წამით ჩამორჩა. მესამეზე წუთისა და 15 წამის ჩამორჩენით ფრანგი ქრისტოფ მორო აღმოჩნდა. მისი დრო დაეწერა ველომრბოლთა დიდ ჯგუფს, რომელშიც ლენს არმსტრონგი, მიკაელ რასმუსენი, ივან ბასო და იან ულრიხიც არიან.

საერთო ჩათვლაში კვლავ არმსტრონგი ლიდერობს, გუშინდელი ეტაპის პირველეოსანი კი მეთორმეტე ადგილზეა.

ლადო ფულუკიძე

მეთერთმეტე ეტაპი. 8 ივლისი — კურშევილი-ბრიანკონი. 173 კმ.

1 ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობილი)	4 სთ.	47 წთ.	38 წმ
2 სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, ფონაკი)			01 წმ
3 ქრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლე)		1 წთ.	15 წმ
4 ბობი ჯულიჩი (აშშ, სი-ეს-სი)			
5 ედი მაცოლენი (იტალია, ლამპრე)		ორივე იგივე დრო	

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისკავერი)	41 სთ.	59 წთ.	57 წმ
2 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)			38 წმ
3 ქრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლე)		2 წთ.	34 წმ
4 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი)		2 წთ.	40 წმ
5 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილ ბალეარი)		3 წთ.	16 წმ

მთას გადავავლოთ თვალი

დასასრული
დასაწყისი იხ- „სარბიელი“ №157

ბუნებრივი ბარიერი ბაბუსერის გოტო

ქვეყანაში მთამსვლელობის აღმავლობის პროცესში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, აქტიურად არიან ჩაბმული ფედერაციაში შემავალი სექციები და კლუბები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (ალპინიზმის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი აკაკი ხერგიანი, უფროსი ინსტრუქტორი ვაჟა მათითაიშვილი); მესტიის მთამსვლური კლუბი „უშბა“ (პრეზიდენტი, სსრკ ორგზის ჩემპიონი ჯუმბერ კახიანი); მესტიის სამთო-სამაშველო სამსახური (სსრკ ჩემპიონი ბოგდან ნიგურიანი, ინსტრუქტორი ზაქრო მუშკუდიანი). საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ალპკლუბი „შხარა“ (პრეზიდენტი — ცნობილი მთამსვლელი და მეკლდეური შოთა ელისაშვილი); გორის ალპინისტურ-ტურისტული კლუბი „ტონთიო“ (პრეზიდენტი მიხეილ ცერცვაძე); საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის ალპსექცია (ინსტრუქტორი ბესო ტატიშვილი); გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპკლუბის ყაზბეგის ფილიალი (ცნობილი მთამსვლელი ზურაბ სუჯაშვილი) და სხვა.

მთამსვლელობას ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა (ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელმწიფო საზღვრების ჩათვლით, რთულ მაღალმთიანეთზე მოდის), ახალგაზრდობის მორალურ-ფსიქოლოგიური, პატრიოტული და ფიზიკური აღზრდისა და წრთობის საქმეში უნიკალურ შესაძლებლობათა გარდა, მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვაც გააჩნია.

ამდენად, ქვეყანაში მასობრივი და სპორტული მთამსვლელობის განვითარება სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა განეკუთვნებოდეს.

სამწუხაროდ, მთამსვლელობა არ შევიდა სპორტის იმ სახეობათა შორის, რომლებიც 2005 წელს ქვეყნისთვის პრიორიტეტულად გამოცხადდა (ან იქნა მიჩნეული).

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რათა სპორტის ამ რაინდულ სახეობაში მიიზიდოს ახალგაზრდობის რაც შეიძლება ფართო მასები.

2000-2004 წლებში ფედერაციისა და თსუ ნიკოლაძის სახელობის ალპკლუბის მიერ ორგანიზებულ საველე-სამთო შეკრებებზე სპეციალური პროგრამით სამთო წვრთნა გაიარა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, შსს საგანგებო სიტუაციათა და მთავარი სამმართველოს 100-ზე მეტმა კურსანტმა, ოფიცერმა და თანამშრომელმა.

მთამსვლელობა მაღალი რისკის სპორტის სახეობათა შორისაა (მთამსვლელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოქმედება ექსტრემალურ პირობებში უხდება). ამის გათვალისწინებით, მთის მწვერვალებზე ასვლები (სსრკ პერიოდი) მკაცრი წესებით იყო რეგლამენტირებული.

წესების დარღვევა, სპორტული დისკვალიფიკაციის გარდა (ალპინიზმიდან მოკვეთის ჩათვლით), სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ძველმა ნორმატიულმა აქტებმა, ცხადია, ძალა დაკარგა, მის სანაცვლოდ კი ახალი წესები მთამსვლელობაში ჩვენში დღემდე არ ამოქმედებულა.

ამ პრობლემის სიღრმისეული ცოდნის არმქონე ადამიანს შესაძლოა იმის განცდა შეექმნეს, თითქოს და ქართველ ალპინისტებს „წესების“ გარეშე „თამაში“ ერჩიოთ (თუმცა-ღა, არც ამის უარყოფა იქნებოდა მთლად მართებული) და წესების თანადროული ქართული ვარიანტის შექმნაზე არავის ეზრუნოს.

ცხადია, ეს ასე არ არის. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით მომზადდა და 2000 წლის 24 აგვისტოს გამოიცა „საქართველოში სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №885 ბრძანებულება, რომლის ერთ-ერთი მუხლი მოითხოვდა „მწვერვალებზე ასვლის წესების“ სამ თვეში შემუშავებას და ამოქმედებას.

ფედერაციამ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ალპინიზმის კათედრასთან ერთად, შეიმუშავა „მწვერვალებზე ასვლის წესები“, სტამბური წესით გამოსცა და ალპინიზმით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციას დაუგზავნა.

„წესების“ პრობლემა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციაში გაერთიანებული ორგანიზაციებისთვის (უმაღლესი სასწავლებლების ალპინისტური სექციები, კლუბები, სტუდენტური ალპინიზმის რესპუბლიკური ასოციაცია; ქუთაისის და თბილისის მთამსვლელთა ფედერაციები; დამოუკიდებელი კლუბები „უშბა“, „ტონთიო“ და სხვა) არ არსებობს. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ყველა ალპღონისძიება „წესების“ სრულ შესაბამისობაში ტარდება.

მიუხედავად ამისა, ალპინიზმში ერთიანი, ყველასთვის სავალდებულო წესების დაწერა-შემოქმედება აუცილებელია და ეს საქმე სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს.

ქვეყანაში მთამსვლელია რამდენიმე კავშირის (რასაც კანონი არ კრძალავს) და კომერციული ალპკლუბების (შპს) არსებობა თავისთავად გამორიცხავს წესების კანონის რანგში აყვანას.

წინააღმდეგ შემთხვევაში მთამსვლელობისა და სამთო ტურიზმში მასობრივობის მკვეთრი ზრდა, რომელიც უახლოეს ორ-სამ წელიწადში მოსალოდნელი, „წესებისა“ და ქმედითუნარიანი სამთო საკონტროლო-სამაშველო სამსახურის არარსებობის პირობებში, დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას.

წესების ამოქმედება მიზნად ისახავს პირიქიანული თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ამას „წესების“ მოწინააღმდეგენი სახავენ.

ფედერაციის ამოცანაა მთამსვლელთა და სამთო ტურისტთა (მთის მოყვარულთა) უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ცნობისთვის: ალპებში, სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად 1300-ზე მეტი ადამიანი იღუპება! ეს ის მაშინ, როცა ალპებში ხრეული ან არის ფორმირებული: სამთო საკონტროლო-სამაშველო სამსახური, სამთო ინფრასტრუქტურა, მთის გამეოლოგთა (საუკუნოვანი გამოცდილების მქონე) მწყობრი ინსტიტუტი და სხვა. ყველასთვის მისაწვდომია, აგრეთვე, პირველხარისხოვანი სამთო აღჭურვილობა, ინვენტარი, კიბეების თანამედროვე საშუალებები.

2004 წელს ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4808) ასვლისას (მარშრუტის სიროულე იგივეა, როგორც მყინვარწვერზე დევდორაკის მხრიდან) 137 უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, რომლის დროსაც 29 ადამიანი დაიღუპა.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა სურათია მოსალოდნელი, როცა მყინვარწვერზე ასასვლელად ათასობით მთის მოყვარული დაიძრება!

ზოთა მირიანაშვილი
საერთაშორისო კლასის, სპორტის ოსტატი

ალპინისტები ბანაკში

ᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲔᲠᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲨᲢᲔᲤᲘ ᲒᲠᲐᲤᲘ

ᲔᲥᲕᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ პროფესიულ კორტს ერთი დღით დაუბრუნდა ყველა დროის ერთ-ერთი უსახელგანთქმულესი და უტიტულოვნესი მდედრი შტეფი გრაფი.

36 წლის გრაფმა, ვისაც სვიანი კარიერისას დიდი მუზარადის 22 საერთეულო ტიტული მოუნაგრავს, ჩოგანი ჰიუსტონში, ეგრეთ წოდებული „უორლდ ტიმტენნის ლიგის“ თამაშობაზე გააქნია.

ანდრე აგასის მეუღლემ „ჰიუსტონ რანგლერზსის“ სახელით სამი შეხვედრა გამართა „საკრამენტოს“ წინააღმდეგ — ერთი კენტად, ერთი წყვილად და ერთიც შერეულ წყვილად. პირველში ის ელენა ლიხოვცევას ერკინა და მხოლოდ ტაიბრეიკზელა დათმო 5:3 (მატჩები აქ ერთსეტიანი იყო და 5 გეიმის მოგებამდე გრძელდებოდა; სულ მცირე 5 ქულა უნდა გეშოვა აიდოსტის მოსაგებადაც). მერე ამერიკელ ენსლი კარგილს შეუწყვილდა და იმავ ლიხოვცევასა და ანა კურნიკოვასთან დამარცხდა 5:2. უკანასკნელ მატჩში კი მან და მარდი ფიშმა 5:3 მოუგეს კურნიკოვასა და მარკ ნოულზს, მაგრამ ოვერტაიმში 1:0 დამარცხდნენ და „საკრამენტომაც“ ამ უცნაურ ამბავში ჯამობრივ 21:18 იმარჯვა.

ძალიან მაგრად გავერთე და ვერც კი წარმომედგინა, ყველაფერი ასე თუ იქნებოდაო, ეუბნებოდა სადამოს შტეფი „ჰიუსტონ ქრონიკლზს“. ტურნირის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, თავადაც ლეგენდარული ბილი-ჯინ კინგი კი მას ამგვარ ხოტბას აღუვლენდა: „დასტურ მოხიბლული ვარ შტეფის გარჯით. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ის მართლაც დიადი მეჩოგნეა. მსოფლიო ფანობასაც ის სწორედ ამიტომ უყვარს.“

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ პროფესიულად შტეფის 1999 წლის აგვისტოს შემდეგ აღარ უთამაშია. თორემ სალაღობოდ და საღლაბუცოდ მან შარშან სამშობლოში თავისი მშვენიერი არგენტინელი მეტოქეყოფილის გაბრიელა საბატინის წინააღმდეგაც წაიჩოგნავა.

ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲨᲐᲠᲐ�პᲝᲕᲐᲖᲔ



მარია შარაპოვას სხეულის რეალური ნაწილები



ამ ნაწილების ბალიშა ასლები

ᲘᲛᲘᲡ მიუხედავად, რომ მაშა შარაპოვას წლეულს მნიშვნელოვანი არც არაფერი მოუგია, მისი პოპულარულობა მაინც მისივე საკორტო კვნესა-გოდების პირდაპირპროპორციულად იზრდება.

სექსუალურ რუსთინეიჯერს ყველგან ჰყვარობენ, მაგრამ იაპონიაში მის მიმართ მაინც გამორჩეული ლტოლვა ჰქონიათ. იქაურ ბიზნესმენებსაც თვისტომთა შარაპომანიაზე ხელის მოთბობა განუზრახავთ და მაშაზე მოხურუშე ხვადთათვის — და, ვინ იცის, ეგებ ზოგიერთი მდედრისთვისაც — ორი სახის ბალიშები გამოუშვიათ.

ერთი სახის ბალიშებს მაშას მკერდის ფორმა აქვს, მეორისას კი — მისი კალთისა ანუ ქვედამუცელბარძაყებისა. ორივე პროდუქტი სრულად შეესატყვისება ორიგინალს. და, რაკიღა იმ საყოველთაო აზრს, რომ მაშას ქვედატანი ზედაზე ხვავრიელი აქვს, იაპონელი მეწარმენიც იზიარებენ, კალთის სახის ბალიშებიც, შესაბამისად, მკერდისაზე 12 დოლარით ძვირია. ერთი 29 ღირს, მეორე კი — 17.

ხოლო სულ მთლად ამძუვნებულთ შეუძლიათ, ბალიშებთან ერთად მაშას რომელიმე სათამაშო ფერის — ან თეთრი, ან ვარდისფერი, ან ყვითელი — ბალიშისპირებიც შეიძინონ.

ასე რომ, სულ მალე იაპონელი შარაპისტები თავ-თავიანთ სარეცლებზე მაშას სხეულის ამა თუ იმ ნაწილში თავ ანაც სხვარამჩარგულნი ინებივრებენ. ნეტამც, კარგი სიზმრებიც დასიზმრებოდეთ.

ᲡᲘᲓᲜᲘ ᲙᲠᲝᲡᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ: ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲰᲝᲙᲔᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ თითქმის ყველა საინფორმაციო სააგენტო თუ წყარო დარწმუნებული იყო, რომ ლოკაუტის დასრულებამდე რაღაც საათებიღა რჩებოდა და არც შემცდარან — შეიძლება ითქვას, რომ გუშინ დიდი ჰოკეი დაბრუნდა.

ნჰლ-ის კლუბებისა და მოთამაშეთა პროფკავშირებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას შრომით პირობებზე. ამის თაობაზე ორივე მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს

ᲑᲝᲚᲝ დღეების მოლაპარაკებათა ქრონიკა ასეთი იყო: კვირას ნჰლ-ისა და მოთამაშეთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ინტენსიური მოლაპარაკება გამართეს, ბოლო დეტალები დააზუსტეს, რის შემდეგაც საქმე იურისტებს გადაეცა, რათა მათ იურიდიულად სწორად გაეფორმებინათ ახალი კოლექტიური შეთანხმების ყველა პუნქტი.

მოლაპარაკებები სამშაბათსაც გაიმართა, მაგრამ 12-საათიანი ბჭობის მერე მხარეები საბოლოო გადაწყვეტილებამდე მაინც ვერ მივიდნენ, გუშინ კი ამ საქმეს, როგორც იქნა, ეშველა.

ახალი შეთანხმების დეტალები მას მერე გახმაურდება, როცა ნჰლ-ისა და ნჰლპა-ს მიერ მისი რატიფიცირება მოხდება. ამისთვის სამი დღეა გამოყოფილი. მხარეთა თქმით, ეს მხოლოდ ფორმალობაა და მეტი არაფერი. თუმცა, შეთანხმების ზოგიერთი დეტალი მაინც გახმაურდა.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად გამართლდა „ლონ-ანჯელეს თაიმსის“ პროგნოზი. ახალი ხელშეკრულება თითქმის მთლიანად ემთხვევა იმას, რაც გაზეთში დაიწერა. ამიტომ ციფრებს აღარ გავიმეორებთ. უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ კლუბების სახელფასო ბიუჯეტი შეზღუდული იქნება (სავარაუდოდ 22 მილიონიდან 37 მილიონამდე), ხოლო შეთანხმების ვადა 6 წელს შეადგენს.

ამერიკაში ყველა დარწმუნებულია, რომ პროფკავშირის ლიდერ ბობ გუდენაუს ტახტიდან ჩამოაგდებენ.

იმაშიც დარწმუნებულნი არიან, რომ ახალმა ხელშეკრულებამ ლიგის სრული ტრიუმფი და შესაბამისად პროფკავშირის ფიასკო დააფიქსირა. ცხადია, ასეთ ვითარებაში მთავარ დამნაშავედ გუდენაუს ცნობენ. აქამდე პროფკავშირის ბოსს ღიად არავინ აკრიტიკებდა. უბრალოდ, მოლაპარაკების მსვლელობიდან ჩანდა, რომ გუდენაუ სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ახლა როცა ყველაფერი გაირკვა, მოთამაშეთა ასოციაციის ლიდერი ლანძღვა-გინების ობიექტი გახდა. მაგალითად, ამ დღეებში დეტროიტის გოლკიპერმა მენი ლეგასმა პრესის მეშვეობით გუდენაუს პასუხი მოსთხოვა. მისი თქმით, პროფკავშირის ლიდერმა ყველა მოატყუა და ჰოკეისტები არასწორი გზით წაიყვანა, რაც საბოლოოდ ასეთი სავალალო შედეგით დასრულდა.

„გუდენაუ გვარწმუნებდა, რომ ლიგის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები ნჰლ-ის ძძიძე ფინანსური ვითარების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. შემდეგ გაირკვა, რომ ეს მართლაც ასე იყო. ის ლამის იფიცებოდა, რომ არასდროს დათანმხდებოდა ხელფასების ზღვარის შემოღებას, მაგრამ უეცრად დათანხმდა. საბოლოოდ თავისი უთავბოლო გადაწყვეტილებებით პროფკავშირი ჩიხში შეიყვანა და ისღა დაგვრჩა, ხელები აგვეწია და ჩვენი მარცხი გვეღიარებინა. საერთოდ, რა საჭირო იყო ამ შფოთის ატეხვა, ამას ხომ წინა სეზონის ჩატარება სჯობდა“ — ასეთი იყო მეკარის კომენტარი.

მაგრამ ახლა გუდენაუს დარღი ვიღასა აქვს. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ლოკაუტის დასრულება განსაკუთრებით უხარია, ვუნდერკინდი სიდნი კროსბია.

„მხარეები უკვე ისე დაახლოვდნენ და მოლაპარაკების დასრულების შანსი დღითი დღე ისე იზრდება, რომ ძნელია, არ აჰყვე ემოციებს და გულის ფანცქალით არ ელოდო ამ ღირსშესანიშნავ ღღეს“ — თქვა გუშინდელ შეთანხმებამდე „მომავალმა გრეტკიმ“ საგანგებო ცერემონიალზე, რომელიც ტორონტოში, „დიდების დარბაზში“ გაიმართა და კანადის ნაკრების ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებას მიეძღვნა.

17 წლის ამომავალ ვარსკვლავს ისიც ახარებს, რომ ეს დრაფტი (სავარაუდოდ ის ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში გაიმართება) არჩევნის სულ სხვა წესით გაიმართება. თუ წინა შეთანხმების თანახმად, №1 აყვანის უფლება მხოლოდ ლიგის ხუთ უსუსტეს გუნდს ჰქონდა, ახლა ლატარიაში ნჰლ-ის ყველა კლუბი მიიღებს მონაწილეობას. უბრალოდ, სუსტებს პროცენტულად უფრო დიდი შანსი ექნებათ. ასე რომ, ეგებ კროსბი „დეტროიტში“, „კოლორადოში“ ან სხვა ბობოლა გუნდში აღმოჩნდეს.

საინტერესოა, რომ შვეიცარიის კლუბმა „ლუგანომ“ კროსბის 3-წლიანი და 10-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაც ბევრად აღემატება იმას, რაც ახალი შეთანხმების თანახმად ელირსება ახალბედას ნჰლ-ში. მაგრამ ევროპაში გამგზავრება მას აზრადაც არ გაუვლია.

„ჩემი მიზანი მხოლოდ ნჰლ-ია, სხვა ლიგაში თამაში ვერც წარმოიდგენია“ — თქვა სიდნიმ.

ᲡᲐᲛᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ

თქვენ ბერიკაცი უძახეთ და...

შარშან „ადიდასმა“ სარეკლამოდ მიიწვია სახელგანთქმული ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექემი, მისი ასევე სახელგავარდნილი თანამემამულე მორაგბე ჯონ უილკინსონი და ერთიც ბრიტანელი, ოღონდ წარმოშობით ინდოელი პენსიონერი ფოჯი სინგხი

ეს ფოჯი სინგხი ვიღააო, ალბათ, იკითხავთ. თუმცა, ისიც ფრიად სახელგანთქმული კაცია, ოღონდ თავის საქმეში — რბენაში.

ამ სინგხმა ხუთჯერ ირბინა ლონდონის მარათონში, თითოჯერ ტორონტოსა და ნიუ იორკის მარათონებში, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ეს ინდოელ-ბრიტანელი სტარტზე პირველად 2000 წელს გამოვიდა ლონდონის მარათონში, როცა... 89 წლისა იყო.

ახლა სინგხი 94 წლისაა და უნდა, რომ 100 მეტრზე რბენაში თანატოლთა შორის მსოფლიოს რეკორდი დაამყაროს.

ამ ცოტა ხნის წინათ 100 მეტრზე რბენაში, 95-99 წლის მამაკაცებში, მსოფლიოს რეკორდი, როგორც ვიუწყებოდით, იაპონელმა კოზო ჰარაგუჩიმ დაამყარა — 22,04 წამი. მაშინ ჰარაგუჩიმ დაიქადნა, სამომავლოდ საუკუნიანთა შეჯიბრებაშიც ვაპირებ გამარჯვებასო, მაგრამ საკითხავი ის არის, ვისთან მოუწევს მას ასპარეზობა. ის ხომ იმ რეკორდის დამყარებისასაც მარტო დარბოდა, რადგან თავისი ასაკის მორბენალი სპრინტერი ამქვეყნად ცოცხალი აღარავინაა.

თუმცა, აი, 94 წლის ფოჯი სინგხი გამოტყვრა. მისი მწვრთნელი ამბობს, რომ ძალიან მინდა, ჩემი აღსაზრდელი იაპონელი კოზო ჰარაგუჩის 100 მეტრზე შევაჯიბროო. ჰოდა, მაშინ გაირკვევა, ვინ არის უსწრაფესი 95-99 წლის მამაკაცებში.

ახლა ფოჯი სინგხს ინგლისის საგრაფო ესეკსში ხშირად ხედავენ სპორტულად გამოწყობილს, რომელიც საყვარელი ქალაქის ქუჩებში დარბის. ჰოდა, ამ უცნაური ბერიკაცის შემხედვარენი გაოცებულნი კითხულობენ, ნეტა ეს კაცი თავის სპორტულ ფეხსაცმელს როდის გადაცვლის საშინაო ფლოსტებშიო.

მაგრამ სინგხი არა და არ ისვენებს. იგი მარათონებში და უამრავ ნახევრადმარათონებში დიდი თავგამოდებით იცავს ედინბურგის გუნდის ღირსებას, სადაც იგი, რაღა თქმა უნდა, უხუცესია.

ფოჯი სინგხმა სირბილი ინდოეთში დაიწყო, სადაც იგი პენჯაბის შტატში ფერმერობდა. 1981 წელს ბრიტანეთში გადაბარგდა და იქ მისი სპორტული გატაცება ახალ დონეზე ავიდა და 13 წლის წინათ სერიოზული ვარჯიში დაიწყო ახლა იგი არა მხოლოდ 100, არამედ 80, 200, 300, 800 1500 მეტრზე და ერთ მილზე (დახლოებით 1600 მეტრი), აგრეთვე 3 და 5 კილომეტრზე რბენაშიც აპირებს მსოფლიოს რეკორდების დამყარებას ოღონდ, თანაკბილათა შორის, რა თქმა უნდა.

ამ რბენა-რბენაში მას გარკვეული ფინანსური ხეირიც აქვს, რაც მან 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სამასპინძლოდ ლონდონის საგანაცხადო კომიტეტს გადაურიცხა.

ასე რომ, ლონდონის გამარჯვებაში ფოჯი სინგხსაც მიუძღვის წვლილი.

ახლა ფოჯი სინგხი ყოველდღიურად 8 კილომეტრს დარბის ან იმავე მანძილზე სეირნობს. არც სვამს და არც ეწევა, სამაგიეროდ, მუდამ კარგ ხასიათზეა და ყველას უღიმის.

ავთანდილ ბყვიშელი

დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

V ტური

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)
პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	0:1	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	0,5:0,5	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	0,5:0,5	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)

ეტიენ ბაკრო ბოლო ადგილზე დარჩა

ლეკო ახტა და სამეულში ჩახტა

სუპერტურნირის ორგზის მომგები უნგრელი პეტერ ლეკო ლიდერთა მარაქაში გაერია. მადიარმა დიდოსტატმა ყოფილ ლიდერ დანიელ პეტერ ჰაინე ნილსენს შავი ფიგურებით მოუგო და მის ადგილს დაეპატრონა. მათი შეხვედრა 6 საათს გაგრძელდა და ტურში ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა.

ნილსენმა ლაზიერის გამბიტით არჩია მეტოქესთან თამაში, მარჯვენა ფლანგზე ხელმწიფეს სიმაგრე აუშენა და მე-6 სვლაზე როქი გააკეთა. ამავე სვლაზე მეფე ლეკომაც დააბინავა, იერიშებს თამამად შეუდგა და წინ მსუბუქი ფიგურები გამოყარა. უნგრელი ლაზიერის ფლანგიდან მიაწვა მეტოქეს, ყურადღებაც აქეთა მხარეს გადაატანინა, თვითონ კი საპირისპირო მხრიდან დაარტყა და 28-ე სვლაზე პაიკით დაწინაურდა. მდგომარეობის გასამუხტად ნილსენმა ეტლით შეუტია მეტოქეს, თუმც მრავალსვლიანი მანევრირების შემდეგ მიხვდა, რომ ვერაფერს დააკლებდა და მე-60 სვლაზე ქულა დაუთმო.

ნაიდიჩმა და ვან ველმა ყოველი დაასრულეს პარტია და ისევ ლიდერთა კომიტეტში არიან. კვლავ ბოლო ადგილზეა ფიდეს რეიტინგის მე-9 ნომერი ეტიენ ბაკრო. მეხუთე ტურში მან ტურნირის აწ უკვე ყოფილ ფავორიტს, ვესელინ ტოპალოვს გაუყო ქულა და მასთან ერთად ბოლო ადგილზე ჩარჩა.

მეხუთე ტურის შემდეგ პირველი წრე დასრულდა და მოჭადრაკეები ერთი დღე დაისვენებენ.

ლაშა გეგეჭკორი



ნილსენმა თამაში მე-60 სვლაზე შეწყვიტა

1	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	3
2	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	3
3	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	3
4	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	2,5
5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	2,5
6	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	2,5
7	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	2,5
8	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2
9	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	2
10	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	2

ბუქმეიკერები: ტაისონს კვლავ დაატუსალებენ

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სუპერმძიმე წონაში მაიკ ტაისონი, რომელმაც ირლანდიელ კევინ მაკბრაიტთან დამარცხების შემდეგ რინგის მიტოვება გადაწყვიტა, კვლავ ტვინს უბურღავს ფართო საზოგადოებრიობას. „რკინის მაიკს“ ძველებურად უდიდეს ყურადღებას უთმობენ.

ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ამერიკის ბუქმეიკერულმა კანტორა **BETUS**-მა დაიწყო ფსონების მიღება იმის თაობაზე, უახლოეს ხანში მაიკ ტაისონი მოხვდება თუ არა ციხეშიო. ბუქმეიკერთა შეფასებით ამის შანსი საკმაოდ დიდია: ფსონები იმაზე, რომ ტაისონი ამერიკის სხვა სახელგანთქმულ პიროვნებათაგან პირველი აღმოჩნდება ციხეში, მიიღება კოეფიციენტით 3/2.

როგორც **ALLBOXING**-ი იუწყება, ამ მხრივ მაიკ ტაისონი მნიშვნელოვნად უსწრებს „საციხო რბოლის“ სხვა ფავორიტებს, მათ შორის, „ფიფტი სენტის“ რეპერსა და მსახიობს ჩარლი შინს, რომელზეც ფსონები მიიღება კოეფიციენტით 7/2.

ამასობაში ვალებში ჩაფლული მაიკლ ტაისონის ყოფილი სახლი ონლაინურ აუქციონზე გაიტანეს და მას ფასად 3,5 მილიონი დოლარი დაადეს. ამ სახლის საერთო ფართობი, რომელიც ოჰაიოს შტატში, ქალაქ საუტინგტონის გარეუბანში მდებარეობს, 2 300 კვადრატულ მეტრს აჭარბებს. მას ერთვის აგრეთვე 0,65 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მაიკლ ტაისონი მესამე სახლია, რომელიც ბოლო წელიწადს გასაყიდად გაიტანეს. მარშან ნოემბერში ბრიტანელმა მილიონერმა დომენიკ მარროკომ მაიკლ ტაისონის ლასვეგასური სახლი 4 მილიონ დოლარად შეიძინა. რამდენიმე თვით ადრე კი ტაისონის სხვა სახლი პოპულარულმა მუსიკოსმა კერტის ჯეკსონმა 4,5 მილიონ დოლარად იყიდა.

AFP ფრანგულიდან

ტურის ტბის პირას

ნუ, „ტურ დე ფრანსი“ ყველამ იცანით. ველოსიპედოლები გრენობლსა და კურშეველს შორის გზაზე გამწკრივებულან და ტბის მშვენიერებითაც ტკბებიან.

AFP სენტ ენდრიუსიდან

ასეა ეს!

ეს კაცი ფრანგი მეგოლფე ტომას ლევეე გახლავთ, ეს ალაგი შოტლანდიური სენტ ენდრიუა, ეს ამბავი ვარჯიშზე ხდება, შეჯიბრებას კი გოლფის 134-ე ღია პირველობა ჰქვია.

ზეიმი პეკინში

*აბა, ამ ფოტოზე გამოსახული ყმაწვილებიდან რომელია რუსი. მართალია არც ერთი, მაგრამ გვერწმუნეთ, რუსებიც იქვე არიან. კიდევ, იქვე არიან ამერიკელები, გერმანელები, ახალ ზელანდიელები, კორეელები, ავსტრალიელები, კანადელები, ჰონკონგელები, ბაჰამელები და მასპინძელი ჩინელები, ხოლო ესენი, ჩვენი ვარაუდით, მაკაოდან უნდა იყვნენ პეკინს ჩასულები. დიახ, პეკინს, რომელმაც 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება ოთხი წლის წინ მოიპოვა და სწორედ ეს უხარია. პეკინელებს ოლიმპიადისთვის დევიზი მოუფიქრებიათ: **One World, One Dream** — მადლობა ფრედი მერკურის.*

AFP ბეიჯინგიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პირველი სართული, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge